საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№158 (12 228)

7 ივლისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. U 20

ისტორიული გამარჯვება

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თავის ისტორიაში ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი ჩაატარა და პირველი გამარჯვება მოიპოვა. **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა ლატვიელი თანატოლები 30 ქულის სხვაობით, 102:72 დაამარცხეს. ბალტიისპირელთა რბევას საფუძველი გამთამაშებელმა **გიორგი გაფრინდაშვილმა** ჩაუყარა: ევროპაზე ქართველთა პირველი ქულები (2 ქულა პლუს ერთი ზუსტი საჯარიმო) სწორედ მან ჩაიწერა. გიორგის მხარი კაპიტანმა **რეზო დიდიამ** (3 ქულა) და მეფარე **გიორგი შერმადინმაც** აუბეს და ორ წუთში ჩვენები 8:0 დაწინაურდნენ.

საწყისი წუთებიდანვე გამოჩნდა, რომ ქართველები მატჩს მეტოქეზე უკეთ მომზადებულები და მობილიზებულები შეხვდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, უსტიაშვილის გუნდისთვის პირველი მეოთხედი მხოლოდ მოთელვა იყო. მეორე ათწუთეულიდან საფინალო სირენამდე ანგარიში არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდა. ამ პერიოდის მეოთხე წუთზე, **ლაშა ფარლალავას** 3-ქულიანის შემდეგ, ანგარიშმა სარკისებური სახე მიიღო - 42:24. ხოლო მესემე მეოთხედში, იმავე ფარლალავას ორი შორეული სროლის წყალობით, სხვაობა 20-დან (65:45) 30 ქულამდე (75:45) გაიზარდა. მას მერე კი საფინალო სირენამდე ანგარიში ქულა-ქულაში მიდიოდა: თუ ქართველები 3-ქულიანს ჩააგდებდნენ, ლატვიელებიც იგივეს იმეორებდნენ, 2-ქულიანს საპასუხო 2-ქულიანი მოსდევდა, საჯარიმოს კი საჯარიმო და საფინალო სირენამ სწორედ 30-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა - 102:72 საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სასარგებლოდ.

და მაინც, როგორ მოვახერხეთ ასეთი სხვაობით გამარჯვება? ამის პირველი მიზეზი მწვრთნელია. უსტიაშვილმა, **გელა წულაძის** დახმარებით, იმდენი მოახერხა, რომ ერთმანეთისთვის მანამდე უცნობი ბიჭებისგან გუნდი ერთ მუშტად შეკრა. ერთიანობა რომ არა, დაცვაში მწყობრად ვერ ვითამაშებდით და არც შეტევაში გვექნებოდა შედეგი. მაშინ, როცა ქართველები მოედნის ყველა წერტილიდან უტევდნენ, ლატვიელებს სროლის არე შეზღუდული ჰქონდათ. თავად განსაჯეთ: მეტოქემ სამწამიანი ზონის გარედან მხოლოდ 6 ტყორცნა გამოიყენა. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველთა მოედნის მარჯვენა ნაწილიდან, 17-დან მხოლოდ ერთხელ მოათავსეს ბურთი კალათში, ხოლო ამ მხრიდან ჩვენმა ბიჭებმა 11-დან მხოლოდ ერთხელ ააცილეს (მათ შორის შვიდი 3-ქულიანი იყო).

რადგან საუბარი ტყორცნებზე ჩამოვარდა, ხაზი უნდა გაესვას რეალიზების უპრეცედენტოდ მაღალ მაჩვენებელსაც: 3-ქულიანების 57.7 (26-დან 15), ორქულიანებისა 59.4 (32-დან 19) და საჯარიმოების 79.2 (24-დან 19) პროცენტი გამოვიყენეთ. ლატვიის ნაკრებს კი ეს მაჩვენებლები ერთი-ორად დაბალი ჰქონდა.

უსტიაშვილმა ინტერვიუში კალათბურთელთა გამორჩევისგან თავი შეიკავა. მაგრამ მწვრთნელს ვერ მივბაძავთ, რადგან ზოგიერთის სტატისტიკა აშკარად თვალს ჭრის. ასე მაგალითად, **ფარლალავამ 16 წუთში 19 ქულა ჩააგდო; შერმადინმა 21 წუთში 17 ქულა, 9 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა; დიდიამ 6-დან 4 სამქულიანი, ერთიდან ერთი ორქულიანი გამოიყენა და 18 წუთში 14 ქულა ჩაიწერა; ირაკლი გულისაბედაშვილმა, ბექა წივწივაძემ და მიხეილ ბერიშვილმა 3-ქულიანები ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლეს...**

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ერთმანეთს იტალიისა და ბულგარეთის ნაკრებები შეხვდნენ. იტალიელებმა 86:51 გაიმარჯვეს.

სტატისტიკა და კომენტარები 3

შავი ზღვის თამაშები 2007

ბოლოს წინ: ოთხი მედალი ქართულ ყულაბაში

თავისუფალში ჯერ ერთი ოქრო გვაქვს

1st BLACK SEA GAMES TRABZON 2007

თათია ბურდული
თენგიზ გაჩეჩილაძე
ტრაბზონიდან

ტრაბზონში გუშინაც დატვირთული დღე იყო. "ანტიკოსთა" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ჩვენებიც და მეტოქენიც ელოდნენ, რომ ასევე შთამბეჭდავად იასპარეზებდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც. დილით, ფინალისტები ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ და აქაც თურქი, რუსი, აზერბაიჯანელი და ქართველი მოჭიდავეები დომინირებდნენ. ყოჩაღად იჭიდავა ყვარლელმა **ზურაბ იაკობაშვილმა** (40 კგ). მან ყველას დააყრევინა ფარ-ხმალი და ფინალში გავიდა, სადაც აზერბაიჯანელი **ემინ ჰუსეინოვი** ელოდა. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და გეტყვით, რომ ზურაბი ჩვენი ნაკრების ერთადერთი ფინალისტი აღმოჩნდა. დანარჩენებმა, **თორნიკე ლურსმანაშვილმა** (54), **ოთარ უროტაძემ** (76) და **დავით გალეგაშვილმა** (63) მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. ერთი ქართველის გარდა, ფინალში გავიდა ოთხი რუსი, სამი თურქი და ერთიც აზერბაიჯანელი...

ამასობაში, სალამომაც მოაწია. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ჯუმბერ დავლიანიძე** გვეუბნება: *"მესამე ადგილის იმედი მაქვს. სომეხი ბეგლარიანი ძლიერია, ალბათ ლურსმანაშვილს გაუჭირდება"*. გაუჭირდა და მერე როგორ! სომეხმა იოლად გაიმარჯვა. აი, ორი ბრინჯაო კი ალალად მოვიპოვეთ. **უროტაძემ** აზერბაიჯანელ **მამედოვს** მოუგო, **გალეგაშვილმა** სომეხ **დავთიანს**. ამის შემდეგ, ხალიჩაზე ფინალისტებს უხმეს. აქ, იაკობაშვილისა და აზერბაიჯანელის შანსებს თანაბრად აფასებდნენ. თუმცა ჩვენმა ყმაწვილმა თავის მწვრთნელებსაც კი ნამდვილი სიურპრიზი შესთავაზა. თავიდანვე აღებული ინიციატივა მან ბოლომდე შეინარჩუნა და საბოლოო გამარჯვება გააზრებული, ჭკვიანური სვლების ხარჯზე მოიპოვა. *"აზრიანად იჭიდავა, დიდი მომავალი აქვს,"* - ერთ აზრზე იყვნენ ჩვენი სპეციალისტები...

წინა დღით, ბირთვის კვრაში **გიორგი ბედოშვილის** მიერ მოპოვებულ ოქროს, გუშინ მძლეოსნებმა კიდევ ორი მედალი მიუმატეს. თბილისელმა **ლიკა დვალიშვილმა** სიმაღლეზე ხტომაში 150 სმ დაძლია და მეორე პრიზიორი გახდა. ახალციხელმა **ლუდვიგ ზილბერშტაინმა** 800 მ. რბენაში მესამე შედეგი აჩვენა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. კარგად გამოვედით მხატვრულ ტანვარჯიშშიც. მოპოვებულია ბრინჯაოს ორი მედალი: გუნდურ ვარჯიშში (**ქეთი ხატიაშვილი, თეონა ხელაია**) და ინდივიდუალურ მრავალჭიდში: აქაც **ქეთი ხატიაშვილი**. ტაეკვანდოში სამი ქართველი დაეუფლა ბრინჯაოს მედალს: **ვახტანგ ჯაფარიძე** (48), **მარი გულუაშვილი** (44) და **უჩა წულაია** (59). მშვილდოსნებიდან **ნანა ცინცაძე** მეექვსე იყო, **სალომე თარაშვილი** კი მერვე. მოცურავე **სანდრო ხახანაშვილი**, რომელიც ფინალში მესამე შედეგით შევიდა, საბოლოოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ფრენბურთელებმა ალბანეთთან 2:3 წააგეს V ადგილისთვის გამართული მატჩი და დღეს, ბოლო შეხვედრაში, რუმინელებს ეთამაშებიან. დამარცხდა კალათბურთელთა გუნდიც. ჩვენმა ბიჭებმა რუმინეთთან დაძაბულ ბრძოლაში 76:81 დათმეს. ფეხბურთელები კი, რომლებიც ტურნირს გუშინწინ გამოეთიშნენ, უკრაინასთან დღეს ამხანაგურ მატჩს გამართავენ...


ზურაბ იაკობაშვილი

ბოლოს კი საერთო გუნდური შედეგები. ჯერჯერობით, ადგილები ასე ნაწილდება: 1. **რუსეთი**, 2. **უკრაინა**, 3. **თურქეთი**, 4. **საბერძნეთი**, 5. **აზერბაიჯანი**, 6. **საქართველო**... დღემდე, ქართველ სპორტსმენებს მოპოვებული აქვთ ოქროს 6, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 11 მედალი. შაბათი შავი ზღვის თამაშების ბოლო დღეა. საქართველოს დელეგაცია სამშობლოსკენ კვირას გამოემართება.

რაგბი. მსოფლიო თასისთვის

ზეგიდან მეორე ეტაპს ვიწყებთ

ორშაბათიდან, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადების მეორე ეტაპს დაიწყებს. ბორჯღალოსნები ბინას "შერატონ მეტეხი პალასში" დაიდებენ და ვარჯიშებს "შევარდენის" სარაგბო სტადიონზე გამართავენ. ამჯერად, მზადება მთლიანად ფიზიკური კონდიციების ამაღლებისკენ იქნება მიმართული. ფრანგი ფიზმომზადების მწვრთნელის **ნიკოლა ფურკიეს** ხელმძღვანელობით, ჩვენი მორაგბეები 28 ივლისამდე ივარჯიშებენ, 5 აგვისტოს კი გეზს საფრანგეთისკენ აიღებენ, სადაც რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრასაც გამართავენ. მწვრთნელებმა შეკრებაზე უხმეს 37 მორაგბეს, საიდანაც მსოფლიო თასისთვის 30 საუკეთესო შეირჩევა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

ნაკრების სამწვრთნელო შტაბი

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი** (ორივე კლერმონი), **ავთანდილ კოპალიანი** (ბაიონი), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), **დავით გასვიანი** (ექსი); მეორე ხაზი: **ილია ზედგინიძე** (ოში), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი), **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი); მესამე ხაზი: **რატი ურუშაძე** (ნიცა), **გია ლაბაძე** (ტულონი), **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **ილია მაისურაძე** (ნანტი), **დავით ბოლღაშვილი** (ლილი), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი); №9: **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **გიორგი კაჭარავა** (ვანი); №10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო), **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი); №11-14: **ბესიკ ხამაშურიძე** (აია), **ირაკლი მაჩხანელი** (მონ დე მარსანი), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ოთარ ელოშვილი** (არასი); №12-13: **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **ირაკლი გიორგაძე** (დაქსი), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ორიაკი), **გიორგი ელიზბარაშვილი** (კრასნი იარი), **დავით კაჭარავა** (ბასტია); №15: **თემიურ სოხაძე** (ბასტია), **ოთარ ბარკალაია** (ანდორა).

ბესიკ ჯანგავაძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ყენია

ყენია ვიზასა და კობიაშვილის გარანტიას ელის

"ლოკომოტივის" 17 წლის ფლეიმეიქერი **ლევან ყენია** გერმანიის ვიზას ელოდება. თბილისური კლუბის პრეზიდენტის ვიზიტი გელზერკირხენში წარმატებით დასრულდა - "შალკემ" ქართველი ახალგაზრდის აყვანა გადაწყვიტა. კონტრაქტი ხანგრძლივი ვადით გაფორმდება, თუმცა ლევანი ვალდებულია, პარალელურად ისწავლოს.

იგი **ლევან კობიაშვილის** პატრონაჟით ისარგებლებს, რადგან მან აიღო ვალდებულება, რომ ყენიას გერმანიაში ცხოვრებას უზრუნველჰყოფს.

მერაბ მამულაშვილი

პროფლიგა ადასტურებს...

ჩიხურას მოკვეთა, ცხინვალს მწვანე შუქი!

მოსახდენი მოხდა. ოლიგარქისგან მიტოვებული კლუბი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. საჩხერის "ჩიხურა" ქვედა ეშელონში გადაინაცვლებს. ეს ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ საჩხერლები იმედს მაინც არ კარგავდნენ. ისინი საჩხერის გამგეობისა და **ბიძინა ივანაშვილის** იმედად იყვნენ.

ბიზნესმენმა არ ისურვა ფულის ფეხბურთში დაბანდებაო - ასეთი ხმები გუნდიდან გამოდიოდა. საჩხერის გამგეობასთან დაკავშირებული იმედი კი არარეალური იყო - ღარიბი რაიონი ელემენტარულ საბიუჯეტო ვალდებულებებს ასრულებს და უმაღლესი ლიგის გუნდის საჭიროებას ვერაფრით გაწვდებოდა.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანს** შევეხმიანეთ და ინფორმაცია "ჩიხურას" მოსალოდნელ მოკვეთაზე მან დაგვიდასტურა:

"სამწუხაროდ, საჩხერის "ჩიხურა" აღმოჩნდა ერთადერთი გუნდი უმაღლეს ლიგაში, რომელმაც საგარანტიო წერილი ვერ წარმოადგინა. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჩიხურა" უმაღლესის მონაწილე აღარ არის. ყველა დანარჩენმა კლუბმა საგარანტიო წერილი მიიტანა. ორშაბათს ლიგის საგანგებო

დიმიტრი სანაკოევი

კომისია შეიკრიბება და საბოლოო პასუხს გაგვცემს, რომელი კლუბის საბუთებია მყარი და დასაბუთებული. ისე, საეჭვოა, გუნდების რაოდენობა წელსვე 12-მდე შემცირდეს".

ბურჯალიანმა დაგვიდასტურა ის ფაქტიც, რომ "ჩიხურას" ყველაზე რეალური შემცვლელი "ცხინვალია".

"ლიგაში შემოვიდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის საგარანტიო წერილი, სადაც დასაბუთებულია კლუბის პრეტენზია. სანაკოევის წერილში ისიც მითითებულია, რომ მინიმალური სამონაწილეო თანხით, 300 ათასი ლარით გუნდის დაფინანსება შეუძლიათ. ამჟამად, გორის "ქართლის" სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და თუკი ჩემპიონატის დაწყებამდე სამუშაოები ვერ დასრულდა, მაშინ "ცხინვალი" გორის გარემონტებულ ცენტრალურ სტადიონზე ითამაშებს. შემიძლია ვთქვა, რომ "ცხინვალი" უმაღლესში გადმოსვლის ყველაზე რეალური კანდიდატია. არც ისაა საიდუმლო, რომ არის სხვა ვარიანტებიც, მაგრამ "ცხინვალის" დამატება უფრო რეალური ჩანს", - გვითხრა ბურჯალიანმა.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

შემოდგომის აზნაურებივით ვართ: დაგვრჩა მხოლოდ მოგონება და ტრაბახი!


თემურ მახარაძე

თემურ მახარაძესა და "ზესტაფონთან" კითხვები დაგროვდა. კუსტანაის "ტობოლთან" 0:3 წაგება თბილისურმა გამარჯვებამაც (2:0) ვერ გაანეიტრალა. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ინტერტოტოს თასის გათამაშებას პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ გულშემატკივარი მტკივნეულად ყაზახებთან წაგებას განიცდის, რადგან ამ ქვეყანაში ქართველები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თამაშობენ.

"ზესტაფონის" თავკაცი მიიჩნევს, რომ ქართველებმა ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ, ჩვენი ფეხბურთი რა უფსკრულში აღმოჩნდა და როგორ ჩამოვრჩით თუნდაც ყაზახებს.

- ბატონო თემურ, "ტობოლთან" წაგების შემდეგ, კითხვები მრავლად დაგროვდა. არის ძალიან მწვავე საკითხები და ყველა მნიშვნელოვან თემაზე უნდა ვისაუბროთ.

- დიდი სიამოვნებით. საუბარი თავადაც მსურდა, რადგან მატჩის შემდეგ ჩემთვის გაუგებარი შეფასებები გაკეთდა.

- ეს შეფასება ყველამ ვიცით - ყაზახებთან წაგება სირცხვილია.

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ თუ გვგონია, რომ ქართული ფეხბურთი ადრინდელი დონისაა, ვცდებით... დღეს ჩვენ ისევე ვგავართ ძველი თაობის ქართულ ფეხბურთს, როგორც 21-ე საუკუნის ეგვიპტელები ფარაონთა დროინდელს.

საერთოდ, ტრაბახი არ მჩვევია, მაგრამ გაჩუმება არ შემიძლია, როდესაც ჩემზე აგდებით საუბრობენ. ფეხბურთზე კამათის დროს მთავარი კრიტერიუმი შედეგია. მეც არგუმენტებით ვისაუბრებ. 2006 წლის იანვრიდან გასული სეზონის დასრულებამდე ჩემი ხელმძღვანელობით "ზესტაფონს" ჩემპიონატში ერთხელაც არ წაუგია. მხოლოდ "ამერთან"თასის ფინალი დავთმეთ. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ არა მგონია, ეს ცუდი შედეგი იყოს და ჩემს არაპროფესიონალიზმზე მიუთითებდეს.

- მთავარ კრიტერიუმად შიდა პირველობა ვერ გამოდგება. საქართველოში რა დონეცაა, ყველა ხედავს. საწყენი და სამარცხვინოცაა ყაზახებთან, "ტობოლთან" წაგება.

- გეთანხმებით და საუბარიც ამისკენ მიმყავს. საქართველოში "ზესტაფონი" ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოვაყალიბეთ. თუმცა, ევროთასებზე ყაზახებთანაც წავაგეთ, რომელთანაც, წესით არ უნდა ვაგებდეთ, ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა!

- იქნებ, ასეთ ზოგად საუბარს კონკრეტიკა სჯობდეს. მეც კონკრეტულ მიზეზებზე ვისაუბრებ. ყაზახეთში დავრწმუნდი, როგორ ჩამოვრჩით ამ ქვეყანასაც კი. თქვენს გაზეთში არ ეწერა, რომ "ტობოლის" ბიუჯეტი 14 მილიონი დოლარია? ეს თანხა ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდის ბიუჯეტს ორჯერ აღემატება. დაიანგარიშეთ და მიხვდებით, რომ მართალი ვარ. ყაზახებს აქვთ მშვენიერი ინფრასტრუქტურა და არა მარტო "ტობოლს", მინიმუმ ათ გუნდს მაინც. ასე გრძელდება ბოლო ათი წელიწადია და ვინმე მოიყვანს არგუმენტს, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ფეხბურთი მათთან არ განვითარდა? ამის პარალელურად, საქართველოში ფეხბურთი უკან-უკან მიდიოდა. ანუ ძველი სხვაობა ნელ-ნელა ყაზახების სასარგებლოდ შეიცვალა.

ამას დაემატა სხვა ფაქტორები - კუსტანაიში თამაშის დაწყებამდე ოთხსაათნახევრით ადრე ჩავფრინდით. მოსამზადებელ პერიოდში მხოლოდ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ და სეზონის შემდეგ ისედაც გადაქანცული მოთამაშეები აეროპორტში კიდევ უფრო გამოიფიტნენ. იმათთან გახურებული სეზონია, ჩვენთან კი სპარინგ-პარტნიორი ვერ გამოვნახეთ.

- ეს ცნობილი მიზეზებია..

- ამ მიზეზებს ვინმე ითვალისწინებს? მე კი დილეტანტებთან კამათს არ ვაპირებ. გამიგებს ის, ვისაც ფეხბურთი ნიუანსების დონეზე ესმის. სათამაშო პიკში მყოფ გუნდთან ტონუსიდან ამოვარდნილი ფეხბურთელებით, მით უფრო აეროპორტში ღამენათევით, თამაში ძნელია. იმათმა კაპიტანმა ჟუმასკალიევმა თქვა, გაცილებთი მაღალი დონის გუნდებთან ასე არ გაგვჭირვებიაო. გადახედეთ, საკონტროლო შეხვედრებში ყაზახები უკრაინულ და რუსულ გუნდებთან როგორ თამაშობენ. გამოდის, პროგრესი დაეტყოთ. სიმართლე გითხრათ, თავიდანვე მერჩივნა ისეთ გუნდთან შეხვედრა, რომელსაც ჩვენსავით სეზონი დასრულებული ჰქონდა.

- ყაზახებთან და აზერბაიჯანელებთან მარტო ნიჭით უნდა მოვიგოთო - ეს საკმაოდ ცნობილმა ფეხბურთელმა თქვა.

- მაშინ, რატომ არ უნდა ვუგებდეთ თურქებს, რომელთაც 80-იან წლებში 5:0 და 6:0-ებს ვუგებდით? თქვენ გგონიათ, ყაზახებისა და თურქების მაშინდელი ფეხბურთი ერთმანეთისგან ბევრით განსხვავდებოდა? ბევრი ქართული შეხედულება შემოდგომის აზნაურის შეხედულებებს მაგონებს, დავრჩით მხოლოდ მოგონებისა და ტრაბახის ამარა, რომ ვიყავით საოცრები, კავკასიელი ბრაზილიელები და წარსულიდან ვერ გამოვდივართ.

ქვეყნები წინ მიდიან, ჩვენ კი დიდი ხანია ხელს არ ვანძრევთ და ჭაობში რომ ჩავიძირეთ, ეს თემურ მახარაძის ბრალი არაა. მაინც გვინდა ძველებური წარმატება, მაგრამ დღევანდელი პირობებით, ინფრასტრუქტურითა და ფულით ეს შეუძლებელია, რასაც ვერ ვაცნობიერებთ. თუ ვითარება არ შეიცვალა, გამოჩნდება კიდევ სხვა "ტობოლი" და ჩვენს ჩამორჩენას კიდევ უფრო მძაფრად გამოაჩენს. წარსულზე საუბარს სჯობს ფეხბურთის კრიზისიდან გამოსვლაზე ვიფიქროთ.

- ჩვენ რომ ჩამოვრჩით, ეს არ ნიშნავს, თითქოს "ტობოლი" მართლა საშუალო ევროპული დონის კლუბია. ასეთია მაგალითად ვენის "რაპიდი", "ტობოლი" მისი რანგის ნაღდად არაა.

- ჩვენთან შედარებით, გაცილებით მაღალი დონისაა. კლუბს უზარმაზარი გუბერნია აფინანსებს, ჩვენ კი ერთი კაცი, რომლის გარეშეც ზესტაფონში გუნდი ვერ იარსებებდა.

მაინც შევძელით პირველ ტაიმში ნაღდი ქართული ფეხბურთის ჩვენება და გამოჩნდა, დასვენებულ ქართველებს რაც შეუძლიათ. მე სწორედ ეს ვთხოვე ბიჭებს.

- მაშინ გავიხსენოთ მეორე ტაიმიც, როდესაც "ზესტაფონმა" მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. ბევრის აზრია, რომ ყაზახთა მწვრთნელმა ტაქტიკურად გაჯობათ.

- ესეც დილეტანტური აზრია. მეორე ტაიმში თავი ჩვენი მოთამაშეების მოუმზადებლობამ იჩინა, უბრალოდ, ჯანი აღარ შერჩათ. ეს იმ "ბევრმა" ვერ შენიშნა?

- კი მაგრამ, რატომ არ გყავდათ სათადარიგოებში არც ერთი თავდამსხმელი, რომლებიც შეტევებს გაამწვავებდნენ?

- იმიტომ, რომ სათანადო ფორმაში არავინ იყო.

- მაშინ, რატომ გაუშვით ზურაბ იონანიძე? ან რატომ არ იყო 18-კაციან განაცხადში ბექა გოცირიძე?

- იონანიძე განაცხადში დროულად ვერ შევიყვანეთ, გოცირიძე კი "ზესტაფონიდან" მიდის.

- კიდევ გავიხსენოთ კაპიტან კახა ჩხეტიანის არყოფნა, ლონლაძეც მხოლოდ შეცვლაზე შემოვიდა.

- ჩხეტიანს ტრავმა ჰქონდა, ლონლაძეს კი - ერთი კვირა მაღალი სიცხე და როგორ ითამაშებდნენ?

- მოკლედ, გინდათ თქვათ, რომ ქართულ ფეხბურთში მუშაობამ აზრი დაკარგა?

- აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ ახალ ქართულ ფეხბურთს ჩავუყრით საფუძველს. სახურავიდან სახლი არავის აუშენებია.

მერაბ მამულაშვილი

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ონიანი

ინტერვიუ გიორგი ონიანთან

მითხრეს, ჩივაძე უნდა გახდეო

გიორგი ონიანი უკვე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ფეხბურთელია. იენის "კარლ ცაისთან" რუსთავის "ოლიმპის" მოთამაშემ სამწლიანი კონტრაქტი (2+1) გაფორმა. თურმე, ქართველი მოთამაშის ევროპულ კლუბში გაუსინჯავად ჩარიცხვა ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა. მერე რა, რომ მეორეა და არა პირველი ბუნდესლიგა. მთავარია, რომ 23 წლის ქართველ მცველს წინსვლის შანსი მიეცა და საუბრის დასაწყისში გიორგიმ სწორედ ეს გვითხრა:

- ბოლო დღეებამდე თავს ვიკავებდი და არ ვამბობდი, რომ გაუსინჯავად ვაფორმებდი კონტრაქტს. ბოლომდე არ მჯეროდა და როდესაც კონტრაქტს ხელი მოვაწერე, უზარმაზარი სიხარული და სტიმული ვიგრძენი. "კარლ ცაისში" ნათამაშები ჩვენი ბიჭებისგან ვიცოდი, რომ მაგარი სოლიდური კლუბი იყო. ლომაია მოსკოვის "სპარტაკში" ყოფილა, აშვეთია "ლოკომოტივში" და ორივე ერთხმად ამბობდა, რუსეთის გახსენებაც არ გვინდაო. უბრალოდ, "კარლ ცაისი" მდიდარი კლუბი არაა და პირობებზე ვერ შეთანხმდნენ, თორემ წასვლას არ აპირებდნენ.

რაც აქ ვნახე, ჩემს ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ბაზა, ოფისი იმაზე მიუთითებს, რომ ხარ სერიოზულ კლუბში, რომელსაც ჰქონდა წარსული და აქვს მომავალი. მაგარი ბედნიერი კაცი ვარ. მეორე ბუნდესლიგაა, მაგრამ საქართველოს შემდეგ პირდაპირ ბუნდესლიგაში არავინ აგიყვანს, საფეხურების გავლაა საჭირო და იმედი მაქვს, რომ ჯერ ამ საფეხურს გადავლახავ.

- გერმანელები ფიზიკური მომზადებით არიან ცნობილნი. საინტერესოა შენი პირველი ვარჯიში, როგორ გაუძელი, რა დატვირთვებია?

- საშინელებაა! პირველი ორი დღე იენაში ვიყავი და ამასობაში, კლუბმა ვარჯიში სხვა ქალაქში დაიწყო. ისედაც რამდენიმე დღის დაწყებული იყო შეკრება და გუნდს მოგვიანებით შევუერთდი. ტყეში 15 თუ 20 კილომეტრი ვირბინეთ და ასე მეგონა, ფილტვები ყელში ამომივიდა, თუმცა ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და დარწმუნებული ვარ, მეც არ შემექმნება პრობლემა. უზომოდ დავიღალე, მაგრამ არ მოვმკვდარვარ.

- პირობები ახსენე და მეორე ბუნდესლიგაში მდიდარი კლუბები არ არიან. ასეთი რა პირობებია "კარლ ცაისში"?

- ხელფასზე არ ვამბობ, ნაღდად არაა დიდი ხელფასი და საქართველოდან წამოსული პრეტენზიული ვერც ვიქნებოდი. სავარჯიშო პირობებს ვგულისხმობ. მოკლედ რომ გითხრათ, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ არის ის, რაც საქართველოში არაა.

- გამოდის, რუსთავის "ოლიმპს" ველარ დაეხმარები საკვალიფიკაციო ეტაპზე.

- თავიდან ასე ვიყავით მოლაპარაკებულნი, მაგრამ აღარ გამოდის და თავადაც გამიგებენ.

- როგორც ვიცი, დღეს ან ხვალ კიდევ სამი ქართველი შემოგიერთდება.

- სამივე კონტრაქტს აფორმებს და ეს მახარებს. ერთად უფრო თავდაჯერებულები ვიქნებით.

- სამნომრიანი მაისური გადმოგცეს. პრესტიჟული ნომერია.

- ეს მეც მაგრად გამიხარდა. სად 27 და 28 ნომერი და სად 3, როდესაც ცენტრალური მცველი ხარ. ჩემდა ბედად, გუნდიდან ვიცე-კაპიტანი წავიდა და ნომერი დაუფიქრებლად ავიღე. მითხრეს, ჩივაძე უნდა იყოო. ადმინისტრატორს კარგად ახსოვს 1981 წლის ფინალი, მაჩვენა იმ მატჩისადმი მიძღვნილი წიგნი. იმ თამაშის გამო დიდ პატივისცემას ამჟღავნებენ.

ფინალის 20 წლისადმი მიძღვნილი თბილისური შეხვედრა და ქართველების თბილი დახვედრაც კარგად ახსოვთ. ასეთი პატივისცემა და სიყვარული უნდა დააფასო.

- პირველი მატჩიდან როგორი დასკვნა გამოიტანე, შეძლებ ამ დონეზე თამაშს?

- კარგი მომზადების შემთხვევაში, პრობლემა არ შემექმნება. გერმანელებს რა პლუსიც აქვთ - ფიზიკური მომზადება - იმის შეძენა შეიძლება. ტვინს ვერანაირი ვარჯიშით ვერ შეიძენ, ან გაქვს, ან არა. მწვრთნელმა კი მითხრა, შენ ეს თვისება გაქვს და ასეთი ცენტრალური მცველი მჭირდებოდაო.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი ქინქლაძე

სევდა და უპასუხო კითხვები

საგულდაგულოდ მაქვს შენახული ინგლის-საქართველოს მატჩის პროგრამა. იქ ჩვენი ნაკრების რამდენიმე გამორჩეულ ფეხბურთელზეა მონათხრობი, ცხადია, **გიორგი ქინქლაძეზეც**. Pocket Genius - პროგრამაში ასეთი ეპითეტიცაა ჩია აღნაგობის ქინქლაძეზე - ჯიბის გენიოსი. ეს ალბათ ერთგვარი ჟურნალისტური მიგნება იყო იმ მრავალი მეტაფორიდან თუ ეპითეტიდან, ქინქლაძეს რომ უძღვნიდნენ ინგლისში. მან იქ ერთი ისეთი სეზონი ითამაშა, დიდი სახელი დაიგდო. "მანჩესტერ სიტისთვის" ისეთივე ლეგენდა გახდა, როგორიც **პიტერ ოსგუდი** იყო ლონდონის "ჩელსისთვის"; პრემიერლიგაში ისეთივე ვარსკვლავი იყო, როგორიც **დავიდ ჯანოლა** თუ **პეტერ შმაიხელი**; საქართველოში კი ისეთივე სახალხო ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, დავით ყიფიანი რომ იყო...

მაშინ საშიში, ბოროტი დრო იდგა. დიღმის ბაზის მოედანზე "მხედრიონის" ვერტმფრენები სხდებოდნენ. თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს ხელფასი 200-200 დოლარი ჰქონდათ და იმ საშინელ დროს ფეხბურთს ისე თამაშობდნენ, საქართველოს ერთიანი ჩემპიონატში ახლა ამას ერთი-ორიც რომ ვერ ახერხებს. "დინამომდე" ქინქლაძე "მრეტების" ფეხბურთელი იყო, ძალიან სიმპათიური გუნდისა, რომლის თამაშებზე, პირველ რიგში, სწორედ ქინქლაძის გამო დადიოდა ხალხი.

ქინქლაძე "დინამოში" 1991 წელს მივიდა და ის უნიჭიერესი გახლდათ მაშინდელ თაობაში, ცაციათი ყინულმჭრელი გემივით აპობდა ნებისმიერ დაცვას. ის მართლაც გენიოსი იყო. მადრიდის "ატლეტიკო", "ბოკა ხუნიორსი"... მისით რამდენიმე უცხოური გუნდი დაინტერესდა, მაგრამ ქინქლაძე ჯერ მოკრძალებულ "ზაარბრიუკენში" წავიდა. მეორე ბუნდესლიგაში ჩატარებულმა თერთმეტმა მატჩმა იგი ელიტარულ ლიგაში სათამაშოდ გამოაწვრთო. ვინ აღარ აკვირდებოდა ქინქლაძეს. იტალიელმა სკაუტებმა მას "შავი ზღვის რივერა" შეარქვეს, თუმცა ყველაზე უფრო ბრიტანელებმა იმარჯვეს. ქინქლაძის სანაკრებო მატჩების ვიდეოჩანაწერებს ყურადღებით აკვირდებოდა "სიტის" თავმჯდომარე **ფრენსის ლი**, ვინც "დინამოს" პრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიას** დაუკავშირდა და ტრანსფერიც გაიჩარხა - 2 მილიონი გირვანქა ქინქლაძეში.

გვახსოვს გიოს პირველი მატჩი "მეინ როუდზე" - 1995 წლის 19 აგვისტოს "სიტიმ" "ტოტენჰემთან" 1:1 ითამაშა, ქინქლაძემ კი ბრიტანული პრესისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გვახსოვს ქინქლაძის გოლი "საუთჰემპტონის" კარში - ორი მცველი მოატყუა და მეკარეს ოსტატურად გადაავლო ბურთი - პრემიერლიგის თვის საუკეთესო გოლად აღიარეს.

გიოს ჯადოსნური სეზონი ჰქონდა. 22 წლისამ მთელი ინგლისი აალაპარაკა. KINGkladze - არც ეს იყო გადამეტებული, რამეთუ "ქინქი" მართლაც მეფე შეიქნა "მეინ როუდზე".

მიუხედავად ქინქლაძის ჩაუქობისა, "სიტი" პრემიერლიგიდან გავარდა. გიოს რამდენიმე შეძლებული, გაპრანჭული გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან "სიტიში" დარჩენა არჩია. გუნდი ინგლისის პირველი დივიზიონიდანაც გავარდა. ქინქლაძე 5 მილიონ გირვანქად ამსტერდამის "აიაქსმა" იყიდა.

"აიაქსში" მაშინ **იარი ლიტმინენი** იყო პლეიმეიქერი. **მორტენ ოლსენმა** ქინქლაძე მარცხენაფლანგელად მოისურვა და... გიოს არ უნდოდა მარცხენაფლანგელობა, ის უკვე ვარსკვლავი იყო და იქ უნდოდა თამაში, რისთვისაც ღმერთმა დაჯილდოვა - გამთამაშებლად, ფორვარდების უკან მოტრიალე თავისუფალ მხატვრად, გუნდის რეჟისორად.

მწვრთნელი აიაქსელ ქინქლაძეს ვარჯიშზე ავალებს, მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებები გააკეთოს. ქინქლაძეს ყველა ჩაწოდება არაზუსტია, ბურთი კარს უკან მიფრინავს, გიო ამას განზრახ აკეთებს...

მორტენ ოლსენი, **იან ვოუტერსი** - "აიაქსში" ვერ გამოჩნდა მწვრთნელი, ვინც ქინქლაძეს გუნდს მოარგებდა. გიო "აიაქსის" მეორე გუნდშიც აღარ თამაშობდა. მისი ტალანტი ნივდებოდა.

2000 წელს ქინქლაძე ინგლისში დაბრუნდა. ის იჯარით "დერბი ქაუნთიმ" აიყვანა. "ქინქი" ნელ-ნელა შევიდა ფორმაში. ინგლისის პრემიერლიგაშიც ითამაშა და პირველ დივიზიონშიც. 2003 წელს ის "დერბის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს გულშემატკივრებმა, თუმცა გიო უკვე მიმქრალი ვარსკვლავი იყო, თითქოს განელებული ჰქონდა ჟინი...

ინგლისიდან ის კვიპროსზე, თემურ ქეცბაიას "ანორთოსისში" წავიდა და ჩემპიონიც გახდა. შემდეგ რუსული პრემიერლიგის"რუბინში" გადავიდა და ყველას დაუმტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში ისევ შეუძლია.

წლევანდელ ზამთარში მას კვლავ "ანორთოსისში" ელოდნენ, მაგრამ გიოს ალბათ ისე არ უყვარდა ფეხბურთი, ვარჯიში და საუთეესოთა შორის ყოფნა, როგორც, მაგალითად, **შოთა არველაძეს**. ქინქლაძემ დიდი ნიჭი გაფლანგა, საღ-სალამათი 33 წლისა შეეშვა ფეხბურთელობას.

ფეხბურთი კი სწორედ ქინქლაძის დარი გენიოსების გამო უყვარდებათ. მან ბევრს შეაყვარა ეს თამაში, ფუჭად როდი გარჯილა.

როცა 1995 წელს საქართველომ ბულგარეთს 2:1 მოუგო, **ხრისტო სტოიჩკოვი** ჩვენი ნაკრების გასახდელში შევიდა და თავისი მაისურა გიოს აჩუქა.

"ქინქიმ" საუცხოო გოლი გაუტანა უელსის ნაკრების მეკარე **ნევილ საუთჰოლს**; მოხდენილი დრიბლინგით გვასიამოვნა თბილისში ინგლისთან 0:2 წაგებულ შეხვედრაში... მისი წარმოდგენები ეპიზოდური იყო, მოკლემეტრაჟიანი სპექტაკლებით წარმატებული კარიერა ვერ შეიქმნა.

მას აღარ უყვარს ინტერვიუები, რამეთუ კითხვაზე, ჯანმრთელი კაცი რატომ ეთხოვება ფეხბურთს, ალბათ არ აქვს პასუხი.

სევდა და რამდენიმე კითხვაზე გაუცემელი პასუხი - ესეც ხომ ფეხბურთის ნაწილია.

დავით თავართქილაძე

სიონი

აკობიას ყიფშიძე დაეხმარება

გუშინ 12 საათზე ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე საქმიანი ფუსფუსი და ხალხმრავლობა შეინიშნებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი **ნოდარ აკობია** უნდა წარედგინა.

"დიახ, *პრეზენტაციაზე გუნდის ახალ თავკაცად ნოდარ აკობია წარადგინეს. მისი თანაშემწე კი ბოლნისელი გიორგი ყიფშიძე იქნება. ახალი სეზონისთვის მზადებას გუნდი მალე დაიწყებს. მართალია, ვარჯიშების დაწყება ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, დარჩენილი პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენოთ*", - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

მოგვიანებით ჭიპაშვილისგან ისიც შეიტყვეთ, რომ "სიონი" მზადებას 7 ივლისიდან, ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში მდებარე ბაზაზე დაიწყებს.

"სიონთან" კიდევ ერთი წლით აკავშირებთ კონტრაქტი და გუნდში რჩებიან კამერუნელი ლეგიონერები. თუმცა, **ერიკ რომეო ჩასემს, ბოიომო ფრიდოლინისა** და **გასტონ ევოჩეს** თუ კარგი კლუბი გამოუჩნდათ მთხოვნელად და პირობებიც მისაღები იქნება, ისინი მისამართს შეიცვლიან. ისე კი, ბოლნისელებმა ისედაც ბევრი ფეხბურთელი დათმეს და აფრიკელებს იოლად არ შელევიან. ბუნებრივია, "სიონის" მესვეურები გუნდის გაძლიერებაზეც ზრუნავენ. მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება ფორვარდ **მიხეილ ბობოხიძესთან** და მისი საკითხი მალე გაირკვევა.

დავით ცაბაძე

სკოლგურთი. პრესკონფერენცია

პეპსის თასი უკვე პოპულარულია

გუშინ ფეხურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია სკოლბურთში, "პეპსის თასის" გათამაშებას მიეძღვნა. მასპედიის ნინაშე სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ტურნირის ორგანიზატორები - დიმიტრი ბოკერია და შოთა ბაქრაძე, კომპანია "პეპსის" მარკეტინგის მენეჯერი ლევან კასრაძე და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ევგენი ევყანაშვილი წარსდგნენ.

ნოდარ ახალკაცი:

- ფეხურთის ფედერაციისთვის "პეპსის თასის" გათამაშება ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რაზეც ამ ტურნირის მასშტაბებიც მეტყველებს. თუ შარშან გათამაშებაში თბილისის 400-მდე სკოლა მონაწილეობთა, წელს ამ ტურნირმა მთელი საქართველო მოიცვა და 1 000 სკოლა მონაწილეობდა 11 ათასი ბავშვით. საერთოდ, ბავშვთა ფეხბურთი ჩვენი, ფედერაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მსგავს ღონისძიებებს ყოველთვის ხელს შევუწყობთ.

გაზაფხულზე, წლევანდელი გათამაშების დაწყებამდე, ფედერაციამ, განათლებისა და მეცნიების სამინისტროსთან, სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, დედაქალაქის მერიასთან და კომპანია "პეპსისთან" მემორანდუმები გააფორმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ჩვენ ამ გათამაშებას ერთობლივად ჩავატარებთ.

ლევან კასრაძე:

- ფეხბურთის ფედერაციასთან საქმიანი და კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს. ამ ტურნირის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. მსგავსი ღონისძიებებით კომპანია "პეპსი" სერიოზულადაა დაინტერესებული და ეს ტურნირი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია.

ფინალური ეტაპი აჭარაში წლეულს პირველად ჩატარდა. 16 გუნდს ქობულეთმა უმასპინძლა. ზღვაზე თამაში ბავშვებისთვის დამატებითი სტიმული იყო. სხვათა შორის, ბევრი მოზარდი, მათ შორის სამაჩაბლოს გუნდის წევრები ზღვაზე პირველად იყვნენ. საორგანიზაციო კომიტეტმა ტურნირის ყველა მონაწილე ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

CDN პეპსის სიფრიალი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოთბაზობი სატელევიზიოფიკაციო ვიზიასრეგის სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN B-00 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA TV ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მოშსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უფასო მოშახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა ხანდახან გუფაფლელად
სატელევიონო საუბრების ნამბრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ფრე ჩემპიონთან

გუშინ ურეკში საკონტროლო მატჩი გამართეს რუსთავის "ოლიმპმა" და თბილისის "ლოკომოტივმა". შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ანგარიში პირველ ტაიმში თბილისელებმა გახსნეს. **გულორდავამ** გამოიჩინა.

მეორე ტაიმში საქართველოს ჩემპიონმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. გოლი გასინჯვაზე მყოფმა კონგოელმა თავდამსხმელმა, **ბოდრი ჯილდასმა** გაიტანა.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. შეჯამება

სიონი

ადგილი ჩემპიონატში: 6

სიონი

	მატჩი	ძირითადში	გოლი	ყვითელი	წითელი
გ. ცხადაძე	23	10	1	2	-
ა. ალავიძე	21	15	5	2	-
ლ. ბაჯელიძე	20	19	1	1	-
კობაური	20	16	-	2	-
ვ. უგრეხელიძე	19	13	3	2	-
ჩასემი	18	18	5	2	-
რაქვიაშვილი	18	14	-	1	-
ლ. ჭელიძე	17	17	-	1	-
ბოიომო	16	15	2	2	-
კვიტაიშვილი	15	7	-	1	-
ჭიჭვეიშვილი*	13	13	1	4	-
ბოგლიაშვილი (მკ.)	13	12	-10	1	-
ევოჩე	13	9	3	1	-
ბაბუნაშვილი**	11	11	1	-	-
ოქროპირიძე	11	8	-	-	-
კორლალიძე**	10	10	1	1	-
სვანიძე	10	7	-	2	-
შავგულიძე*	9	6	1	1	-
ქარდავა	9	4	1	1	-
სანიკიძე**	8	8	-	-	1
ბათიაშვილი (მკ.)*	7	7	-8	-	-
მამალაძე (მეკ.)**	7	6	-6	-	-
ექონია**	6	6	-	-	-
ორბელაძე**	6	6	-	1	-
სიჭინავა*	6	6	-	1	-
დარასელია**	5	5	3	2	-
ლ. სილაგაძე**	5	5	-	1	-
ზ. ჭელიძე*	5	2	-	-	-
ქურასბედიანი	5	1	-	-	-
გიგინეიშვილი	3	1	-	-	-
ბუბუტეიშვილი	2	2	-	-	-
ლ. ჩხეტიანი	2	2	-	-	-
გავაშელი (მეკ.)	1	1	-3	-	-
ნაყოფია	1	1	-	-	-
გაბიძაშვილი	1	1	-	-	-
ებრალიძე	1	1	-	-	-
უგულავა	1	-	-	-	-
გუგუნაშვილი	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

კახა ცხადაძე

შარშანდელი ჩემპიონი ბოლნისის "სიონი" გასულ სეზონში ისე ვერ წარმოჩნდა, როგორც ელოდნენ. ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე ქვემოქართლელები საპრიზო სამეულისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. მერე თასის გათამაშებაზე გააკეთეს აქცენტი, მაგრამ ფინალში გასვლა ვერ შეძლეს.
დღეს "სიონს" უკვე ახალი თავკაცი ჰყავს – ნოდარ აკობია, განვლილ ჩემპიონატში გუნდმა კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით იასპარეზა და ბუნებრივია, სეზონიც მას შევაფასებინეთ.

კახა ცხადაძე
ყოფილი მწვრთნელი

საუკეთესო მატჩი

"რამდენიმე კარგი თამაში გვქონდა. უპირველესად "ამერთან" თასის საპასუხო შეხვედრა მახსენდება. სტუმრად სამი მშრალი ბურთით წაგების შემდეგ, საპასუხო შეხვედრაში სამი გოლი გავიტანეთ. დამატებით ტაიმებში 4:1 კი მოვიგეთ, მაგრამ ცოტა დაგვაკლდა თასის ფინალში გასავლელად.
კარგი მატჩი იყო შინ "ვიტ ჯორჯიასთან", რომელიც 1:0 მოვიგეთ".

ყველაზე ცუდი მატჩი

"ამერთან" თასის ნახევარფინალის პირველი შეხვედრა, რომელიც 0:3 წავაგეთ. განსაკუთრებიც ცუდი იყო ამ მატჩის პირველი ნახევარი".

პლუსი

"პლუსიც ბევრი გვქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, იმ შედეგს ვერ მივაღწიეთ, რომელიც დაგეგმილი გვქონდა და შეგვეძლო. პლუსი იყო ის, რომ არა-

ერთი კარგი ფეხბურთელი გამოირჩა განვლილ სეზონში, რომლებზე მოთხოვნილებაც გაიზარდა. ეს მოთამაშეები ყველამ იცის და აღარ დავასახელებ".

მინუსი

"ზემოთაც აღვნიშნე, არასტაბილური სეზონი გვქონდა და მინუსებიც ბევრი იყო-მეთქი. როგორც ჩანს, ფეხბურთელებს რომლებმაც პირველი წრე კარგად ჩაატარეს, მეორე წრეში მოდუნდნენ და თავიანთი შესაძლებლობები სათანადოდ ველარ წარმოაჩინეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გუნდის საბოლოო შედეგებზე აისახა კიდეც".

ჩემპიონატის რჩეულნი

"უპირველესად **სანდრო იაშვილი**. ასევე გამოირჩეოდნენ **სეთურიძე, გიორგი ონიანი, ბოლქვაძე, დავითაშვილი, კობახიძე, მერებაშვილი**. ჩვენს ლეგიონერებს, **ჩასემსა და ბოიომოსაც** აქვე დავასახელებდი".

სიონი და ქომაგები

"ბოლნისის "სიონი" თავისი ქომაგებით ყოველთვის გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, განვლილ სეზონში არასტაბილური თამაშის გამო, მათი მხარდაჭერაც ისეთი არ იყო, როგორც უწინ".

ჩემპიონატის ფორმატი

"კარგი იქნება, თუ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების რაოდენობა შემცირდება. სამწუხაროდ, ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია გუნდები, რომელთაც გამართული ინფრასტრუქტურა აქვთ. თუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდება, ჩემპიონატის დონე და დაძაბულობა მით უკეთესი იქნება".

გამორჩეული კოლეგები

"სხვათა შორის, განვლილ სეზონში მწვრთნელთ შორის დიდი კონკურენცია იყო. "დია 2007"-ზე მართლაც რომ მწვრთნელთა გამორჩეული სამეული იყო წარმოდგენილი და საუკეთესომ გაიმარჯვა. კოლეგებიდან **გიორგი ჩიხრაძეს, რეზო ძოძუაშვილს, დუშან უჰრინს, თემურ მახარაძეს, რამაზ მუმლაძეს, გიორგი კიკნაძეს** გამოვარჩევდი. რალა თქმა უნდა, გამოცდილი სპეციალისტების ცოდნა გვჭირდება, მაგრამ, ახალგაზრდა მწვრთნელებიც წამოვიდნენ და ეს ძალიან მახარებს. მწვრთნელი ენერგიული, მცოდნე და მომთხოვნი უნდა იყოს. იგი გუნდს ცოდნის გარდა, მუხტსა და ენერგიასაც უნდა გადასცემდეს".



მსაჯობა

"ჩემი აზრით კარგი, ნორმალური მსაჯები გვყავს. მათ შორის რამდენიმეა გამორჩეული. თუნდაც **ლევან ფანიაშვილი**, რომელიც "დია 2007"-ზეც დააფასეს. ჩვენს მსაჯებსაც მოსდით შეცდომები, მაგრამ მთავარია, ეს შეცდომა უნებლიე იყოს და არა წინასწარგანზრახული. მათ აშკარად შეუძლიათ უფრო მაღალ დონეზე მსაჯობა და ვფიქრობ, ახალ სიმაღლეზე ავლენ.
აქვე ერთსაც დავამატებდი. 26 მაისს გამართულ თასის ფინალს უცხოელი, თურქი მსაჯები მოემსახურენ. ვფიქრობ ეს კარგი პრეცენდენტი იყო და ურიგო არ იქნება, თუ ეს ტრადიცია გაგრძელდება. მნიშვნელოვან მატჩებზე გუნდებს შეუძლიათ მოილაპარაკონ, ფედერაცია და პროფლიგა საქმის კურსში ჩააყენონ და უცხოელი მსაჯი მოემსახუროს დაძაბულ და პრინციპულ მატჩებს. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველ მსაჯებს არ ვენდობით, მაგრამ უცხოელი არბიტრებს ბევრ სხვა ქვეყანაშიც იწვევენ და ჩვენც არ უნდა ვიყოთ გამონაკლისი".

გარიგებული მატჩები

"სამწუხაროდ, გარიგებული მატჩები არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიო ფეხბურთის სენია და მას ყველანაირად უნდა ვებრძოლოთ. თავად ფეხბურთის, კლუბების მესვეურებმა უნდა მოილაპარაკონ, შეთანხმდნენ, ერთმანეთს სიტყვა მისცენ და საეჭვო მატჩების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიდეს".

დავით ცაბაძე

ბოლნისელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ჩასემი იყო

I ტური
24.08.06 შ ოლიმპი 0:1

II ტური
06.08.06 ს ვიტ ჯორჯია 2:3
გოლები: ევოჩე, ბოიომო

III ტური
20.08.06 შ - ჩიხურა 2:0
გოლები: ალავიძე, უგრეხელიძე

IV ტური
27.08.06 ს ბათუმი 2:1
გოლები: ალავიძე, შავგულიძე

V ტური
09.09.06 შ დინამო 0:1

VI ტური
17.09.06 ს დილა 1:0
გოლი: ცხადაძე

VII ტური
23.09.06 შ ამერი 1:1
გოლი: ალავიძე

VIII ტური
14.10.06 ს ტორპედო 0:0

IX ტური
21.10.06 შ ბორჯომი 2:0
გოლები: ალავიძე, ჭიჭვეიშვილი

X ტური
29.10.06 შ კახეთი 5:0
გოლები: ევოჩე (2), ჩასემი, უგრეხელიძე, ალავიძე

XI ტური
05.11.06 ს ზესტაფონი 0:3

XII ტური
18.11.06 შ ლოკომოტივი 1:0
გოლი: ჩასემი

XIII ტური
26.11.06 ს მერანი 3:0
გოლები: ჩასემი (3)

XIV ტური
23. 02. 07 ს ოლიმპი 0:3

XV ტური
02.03.07 შ ვიტ ჯორჯია 1:0
გოლი: დარასელია

XVI ტური
10.03.07 ს ჩიხურა 1:0
გოლი: ბოიომო

XVII ტური
17.03.07 შ ბათუმი 1:2
გოლი: დარასელია

XVIII ტური
31.03.07 ს დინამო 0:1

XIX ტური
7.04.07 შ დილა 3:0
გოლები: ბაბუნაშვილი, კორლალიძე, ქარდავა

XX ტური
13.04.07 ს ამერი 0:1

XXI ტური
21.04.07 შ ტორპედო 1:0
გოლი: დარასელია

XXII ტური
27.04.07 ს ბორჯომი 0:2

XXIII ტური
5.05.07 ს კახეთი 1:1
გოლი: ბაჯელიძე

XXIV ტური
12.05.07 შ ზესტაფონი 0:0

XXV ტური
16.05.07 ს ლოკომოტივი 1:3
გოლი: უგრეხელიძე

XXVI ტური
20.05.07 შ მერანი 0:3

26 მატჩი, 11 მოგება, 4 ფრე, 11 წაგება, ბურთები 28-26, 37 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი. ახალი დროება

სვენი სამი წლით

სანტა კრუსი, სიტის პირველი შენაძენი? ტაქსინმა გარიგება სრულყო, ის პრემიერლიგის მერვე უცხოელი ბოსია...

სვენი სიტი ოფ მანჩესტერ სტედიუმის ფონზე პოზირებს

სვენ გორან ერიქსონი "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი გახდა. მან სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. შვედ სპეციალისტს წლიურად 6 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ერიქსონი მანჩესტერში სამშაბათს ჩავიდა, თუმცა გუნდი მხოლოდ მეორე დღეს ავარჯიშა. ხუთშაბათს კონტრაქტი გააფორმა და უმალ ჟურნალისტებს შეხვდა: *"ძალიან კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ "სიტის" გაძღოლა დამაკისრეს. მოუთმენლად ველოდები სეზონის დაწყებას. ისეთი გუნდის გაკეთება მინდა, ფანებმა რომ იამაყონ."* პრესკონფერენციას "სიტის" აღმასრულებელი დირექტორი **ალისტერ მაკინტოშიც** დაესწრო: *"კლუბში ახალი ერა იწყება. სვენს დიდ კლუბებში მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება აქვს. ამიტომაც გადავწყვიტეთ მასთან თანამშრომლობა. ის პრემიერლიგასაც შესანიშნავად იცნობს. ამიტომ "სიტისთან" შეჩვევა არ გაუჭირდება."*

ერიქსონს სასურველ ფეხბურთელებზე არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, "დეილი სტარში" გუშინვე დაიბეჭდა, რომ მწვრთნელის პირველი შენაძენი პარაგვაელი თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** იქნება. "ბაიერნს" ეს ბიჭი აღარ სჭირდება. ინგლისური ტაბლოიდის ცნობით, "სიტი" მზადაა, მასში 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ამჟამად სანტა კრუსი პარაგვაის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე იყოფება და ფლეი ოფისათვის ემზადება.

ზემოთ მაკინტოშმა ახალი ერა ახსენა. მანჩესტერში სიახლე მარტო ის არ არის, რომ სვენი მუშაობას შეუდგა. ტაილანდელმა **ტაქსინ შინავატრამ** კლუბის გამოსყიდვის პროცედურა დაასრულა. ის პრემიერლიგის მერვე უცხოელი ინვესტორი გახდა. სხვა შვიდ უცხოელს ქვემოთ გავიხსენებთ. იქამდე კი გეტყვით, რომ "სიტის" ინგლისის ჩემპიონის ტიტული 1968 წლის შემდეგ არ მოუგია, ხოლო 1976 წლის შემდეგ არცერთი მნიშვნელოვანი ჯილდო არ ღირსებია და ერთთავად მოსისხლე თანაქალაქელის, "იუნაიტედის" ჩრდილქვეშ იმყოფება. ერიქსონის ინგლისურ გამოცდილებას წარმატებულს ვერ დავარქმევთ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ გუნდში მის განკარგულებაში ბოლო ათწლეულების საუკეთესო შემადგენლობა იყო, სვენის შეგირდები ორ მუნდიალსა და ევროპის პირველობაზე მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ. ერიქსონს თუ რამით შეუძლია თავის მოწონება, საკლუბო კარიერაა. ის სამი ქვეყნის ჩემპიონია - შვედეთის ("გიოტებორგი"), პორტუგალიის ("ბენფიკა") ერთად და იტალიის ("ლაციო"). ამას გარდა, თასების თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელია ("ლაციო"), თანაც ეს უკანასკნელი ტიტული ჩემპიონთა თასის მფლობელ "მანჩესტერ იუნაიტედს" ააცალა. საერთო ჯამში მისი საკლუბო სამწვრთნელო კარიერა 17 ტიტულს მოიცავს.

რაც შეეხება პრემიერლიგის უცხოელი ინვესტორების სიას, შინავატრას გარდა, ინგლისის უმაღლესი დივიზიონის კლუბებს ფლობენ რუსი **რომან აბრამოვიჩი** ("ჩელსი") და მისი თანამემამულე **ალექსანდრ გაიდამაკი** ("პორტსმუთი"), ამერიკელები - **მალკოლმ გლეიზერი** ("მანჩესტერ იუნაიტედი"), **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** (ლივერპული) და **რენდი ლერნერი** ("ასტონ ვილა"), ისლანდიელი **ეგერტ მაგნუსონი** ("ვესტ ჰემი") და ეგვიპტელი **მოჰამედ ალ ფაიედი** ("ფულჰემი").

რეალი

შუსტერი სამშაბათს?

კალდერონს სჯერა, რომ ქერა ანგელოზი ბერნაბეუს უახლოვდება. ჯერ არდანიშნულმა გერმანელმა კი რობენი, ფაბრეგასი და სოლდადო მოითხოვა

ბერნდ შუსტერი კვლავ "ხეტაფეს" მწვრთნელია, მიუხედავად იმისა, რომ მოკრძალებული მადრიდული კლუბი გერმანელის მემკვიდრედ შეგულებულ **მიკაელ ლაუდრუპთან** მოლაპარაკებებშია ჩართული. როგორც ჩანს, ორშაბათს, ან მაქსიმუმ სამშაბათს, ყველაფერი გაირკვევა, ყოველ შემთხვევაში, "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონს** იმედი აქვს, რომ მომავალი კვირის პირველსავე სამუშაო დღეს შუსტერი "ხეტაფესგან" თავს დაიხსნის და მეორე დილით უკვე "სანტიაგო ბერნაბეუზე" იქნება. ეს უბრალოდ გარდაუვალია. წინააღმდეგ შემთხვევაში, "რეალს" მწვრთნელის ძებნა გაუჯანჯლდება, არადა, 20 ივლისიდან ახალი სეზონისთვის მზადება იწყება...

თუ "მარკას" ვენდობით, ეს თარიღი თავად შუსტერის თხოვნით დაითქვა. ჯერაც არდანიშნული მწვრთნელი ახლა კადისის სანაპიროზე ნებივრობს და სურს, გემრიელად დაისვენოს. ის მჭიდრო კონტაქტშია **პრედრაგ მიატოვიჩსა** და **ფრანკო ბალდინის** ნაცვლად მოსულ **მიგელ ანხელ პორტუგალთან**. საუბარი მიდის კონკრეტულ მოთამაშეებზე. ასე მაგალითად, შუსტერს უთხოვია, დაჩქარდეს **არიენ რობენის** ტრანსფერი. სამეფო კლუბი ჰოლანდიელ გარემარბთან მორიგებული კია, მაგრამ "ჩელსის" ჯერ ვერაფერი მოუხერხა. გერმანელის გეგმებშია "არსენალის" ნიჭიერი ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასიც**, რომელმაც **ემერსონი** უნდა შეცვალოს. "ასის" ცნობით, "ქერა ანგელოზისვე" თხოვნით, "რეალმა" დაიბრუნა **რობერტო სოლდადო**, რომელთანაც გერმანელი "ხეტაფეში" თანამშრომლობდა. სამეფო კლუბის სამომავლო პროექტში სოლდადოს, თურმე, **რაულის** შემცვლელის როლში განიხილავენ.

"რადიო მარკასთან" ინტერვიუში კალდერონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "ხეტაფესთვის" საკომპენსაციო თანხის გადახდას არ აპირებს. ამას გარდა: *"მე არ ვიცი, რა უნდა მიგელ ანხელ ტორესს ("ხეტაფეს" პრეზიდენტი - რედ). კომპენსაცია, რომელსაც ის ითხოვს, უბრალოდ სასაცილოა, არა მისი ოდენობის თვალსაზრისით, არამედ უბრალო ლოგიკიდან გამომდინარე. ვიდრე შუსტერი ამ კლუბთან კონტრაქტს არ გაწყვეტს, ჩვენ მას არ დაველაპარაკებით, ხოლო თუ არ გაწყვეტს, არც ეს იქნება ტრაგედია. ასე რომ, "ხეტაფეს" პრეზიდენტს საქმე მწვრთნელთან აქვს გასარკვევი და არა ჩვენთან. ეს ერთი. მეორე ისაა, მას "რეალის" პრეზიდენტობა სურს. ვიცი, რომ ის ადრეც იბრძოდა ამისთვის, მაგრამ საზოგადოებამ ამჯერად მე დამიჭირა მხარი. თუ ტორესს შურისძიების გრძნობა არ ასვენებს, ესეც მისი პრობლემაა. აქვე ვადასტურებ, რომ მე მასთან მტრობა არ მსურს".*

შემდეგ, კალდერონს ახალ მოთამაშეებზეც ჰკითხეს: *"უკვე ჭკუა ვისწავლე. ფანებს კონკრეტულს ვერაფერს ვეტყვი, რადგან ადრეც ვპირდებოდი მათ ამა თუ იმ მოთამაშის ყიდვას, მაგრამ ზოგიერთი პირობა ვერ შევასრულე. საქმე ისაა, რომ თუ რომელიმე ფეხბურთელს ჩვენთან გადმოსვლა არ უნდა, ვერაფერს გავხდებით. ხომ არ მოვიტაცებთ მოთამაშეს? მაგალითად, კაკას ზღაპრულ პირობებს ვთავაზობთ. ამ შემთხვევაში, ყველაფერი მისი გადასაწყვეტია. მჯერა, "მილანთან" პრობლემა არ გვექნება. მაგრამ კაკა თავს იკავებს. უბრალოდ, ის უნდა მივიდეს ბერლუსკონისთან და უთხრას, რომ "რეალში" წასვლა უნდა... ისე კი, ვაღიარებ, რომ შარშან შეცდომა დავუშვით. კაკას ყიდვა მაშინ შედარებით ადვილი იყო... ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ სატრანსფერო კამპანიის დასრულებამდე სამ-ოთხ ახალ ფეხბურთელთან გავაფორმებთ კონტრაქტს".*

ბერნდ შუსტერი სამეფო კლუბისთვის მზადაა

გროსო და ლიონი გადაწყვეტილია

"ინტერის" მცველი **ფაბიო გროსო**, ფაქტობრივად, უკვე "ლიონის" ფეხბურთელია. გროსო უკვე "სტად ჟერლანზეა", სადაც კონტრაქტის პერსონალურ დეტალებს განიხილავს. გასული მუნდიალის გმირი "ნერაძურიში" შარშან, "პალერმოდან" გადავიდა. მილანურმა გრანდმა მასში 3.7 მილიონი ევრო გადაიხადა. "ლიონის" პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** თავის ინტერელ კოლეგა **მასიმო მორატის** 5 მილიონ გირვანქას სთავაზობს, რაც ამ უკანასკნელისთვის სავსებით მისაღებია. საფრანგეთის ჩემპიონი გროსოს 4-წლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს. ფეხბურთელის წლიური ჯამაგირი 1.4 მილიონი გირვანქა იქნება.

ინტერი კოვაჩს განიხილავს

მას შემდეგ, რაც "ინტერმა" წარუმატებლად სცადა **ენცო მარესკასა** და **მაჰამადუ დიარას** ყიდვა, ახალ სამიზნედ იქცა მოსკოვის "სპარტაკის" ჩეხი ნახევარმცველი **რადოსლავ კოვაჩი**, რომელიც დაახლოებით 5-7 მილიონი ევრო ღირს. კონტრაქტის მიხედვით, 27 წლის კოვაჩი რუსულ გრანდში 2011 წლამდე უნდა დარჩეს. შესაბამისად, "ინტერი" მზადაა, კომპენსაციის სახით "სპარტაკს" 5 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ბუმსონგი ბორდოში?

"ბორდო" მზადაა, "იუვენტუსიდან" **ჟან-ალენ ბუმსონგი** გადაიბიროს. ჟირონდელთა ახალ მწვრთნელ **ლორან ბლანს** ცენტრალური მცველი ჰაერივით სჭირდება. ბუმსონგი ტურინში შარშან გადავიდა. მისი ყიდვა კატეგორიულად მოითხოვა "იუვეს" მაშინდელმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა**. დეშამის წასვლა, შესაძლოა, ბუმსონგის აბარგებასაც მოასწავებდეს. ტურინში ფიქრობენ, ფრანგმა მცველმა ნაკლებად გაამართლა, თუმც რეგულარულად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. "იუვენტუსთან" კონტრაქტი მას 2010 წელს უმთავრდება. 2004 წლამდე ბუმსონგი "ოსერში" თამაშობდა. "იუვემდე" მან "რეინჯერსი" და "ნიუკასლი" მოიარა.

კივუს საგა

რეალი აღარ გამაგონოთ, ინტერი ან ისევ რომა

კრისტიან კივუს მომავალი ჯერაც გაურკვეველია. მას შემდეგ, რაც რუმინელმა მცველმა კატეგორიულად უარყო "რეალის" წინადადება, ახლა ისევ "ინტერში" გადასვლის ვარიანტს განიხილავს. სწორედ "ინტერმა" შესთავაზა მას ის ანაზღაურება, რასაც ითხოვდა. მაგრამ აქ პრობლემა ისაა, რომ მილანური გრანდი უშუალოდ "რომას" ვერ მოურიგდა. ამ დროს კი, "ჯალოროსი" მეტად კმაყოფილი იყო სამეფო კლუბის მიერ დათქმული 18 მილიონი ევროთი. ახლა, თუ "ინტერს" ფეხბურთელის შეძენა მართლა სურს, წინადადებას მინიმუმ 2 მილიონი ევრო უნდა დაამატოს. არადა, **მასიმო მორატიმ** რომში უკვე აფრინა ფაქსი - კივუ აღარ გვაინტერესებსო. ფეხბურთელზე უარი თქვა "ბარსელონამაც", მას შემდეგ, რაც ფრანგი **ერიკ აბიდალი** იყიდა. მაშ როგორღა იქნებ საქმე?

კივუს აგენტი **ჯოვანი ბეკალი** აცხადებს: *"ჩვენ ვესაუბრეთ "რომას" სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს და ჩავაყენეთ საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, რომ აღარ განვიხილავთ "რეალში" ან "ბარსელონაში" გადასვლის შესაძლებლობას".*

შეგახსენებთ, რომ კივუს კონტრაქტი 2008 წლის ივნისში იწურება. "რომას" სამი გზა აქვს - ან ახლავე გაუგრძელოს კონტრაქტი გაუმჯობესებული პირობებით, ან დაუყოვნებლივ გაყიდოს, ანდაც ერთი წლის შემდეგ, "ბოსმანის კანონის" თანახმად, უფასოდ გაუშვას. ალბათ, "ჯალოროსი" ბოლო ვარიანტს კატეგორიულაც გამორიცხავს. რჩება "ინტერის" წინადადება. ისე, თავად კივუს სულაც არ აშინებს "რომაში" კიდევ ერთი წლით დარჩენა.

"რომში თავს ჩინებულად ვგრძნობ. აქ ყველა პატივს მცემს, მაგრამ როგორც პროფესიონალ ფეხბურთელს, და როგორც ფეხბურთელს, რომელსაც ტიტულების მოგება სურს, უფლება მაქვს, უფრო შორს გავიხედო. თუ "რომაში" დავრჩები, არც ეს იქნება ტრაგედია. ვეცდები, ჩემს მიზნებს ამ გუნდთან ერთად მივაღწიო. დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი. III ტური

არგენტინა სრული სვლით

ამერიკამ ზედიზედ სამი მატჩი ბოლო ექვს წელიწადში პირველად წააგო

C ჯგუფი

კოლუმბია-აშშ 1:0

კოლუმბია: საპატა, არისალა, პერეა, იეპესი, ბანხერო, კასტრილონი, ტორესი (85. ფერეირა), ვიაფარა (55. მარინი), სუნიგა, როდალიეგა, ბალოიესი (78. ჩიტივა).

აშშ: გუზანი, ბოსველი, კალიფი, მური, პირსი, ბეკერმანი, კლარკი, კლიესტანი, მეპი (65. დევისი), გომესი (46. გევინი), ჯონსონი (72. ნგუიენი).

გოლი: 1:0 კასტრილონი (16)

35-ე წუთზე როდალიეგამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაძევება: საპატა (87. კოლუმბია)

გაფრთხილება: 1:0; **დარტყმა**: 5(1)-4(1); **ჯარიმა**: 11-14; **კუთხური**: 5-3; **თამაშგარე**: 4-4.

არგენტინა-პარაგვაი 1:0

არგენტინა: აბონდანსიერი, ბურდისო, დიასი, იბარა, ძანეტი, აიმარი (85. აიალა), კამბიასო (67. მესი), გაგო, ლუის გონსალესი (67. მასკერანო), პალასიო, ტევესი.

პარაგვაი: ბობადილია, კასერესი, მანსური, ვერონი, დოს სანტოსი, ედგარ გონსალესი (69. ბარეტო), სანტანა (81. სანტა კრუსი), აურელიანო ტორესი, ვერა, კაბანიასი, კუევასი (58. ლოპესი).

გოლი: 1:0 მასკერანო (79).

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა**: 10(1)-7(2); **ჯარიმა**: 16-11; **კუთხური**: 9-2; **თამაშგარე**: 1-3.

ამერიკელთა თავკაცმა **ბობ ბრედლიმ** გამოცდილი გოლკიპერი **კეისი კელერი** სკამზე დასვა. სათადარიგო მეკარე **ბრედ გუზანს** თავი არ შეურცხვენია. მან რამდენიმე მკვდარი ბურთი მოიგერია, მათ შორის, **უგო როდალიეგას** 11-მეტრიანი, მაგრამ **ხაიმე კასტრილონთან** ვერაფერს გახდა. ამ უკანასკნელმა **კამილო სუნიგას** გრძელ გადაცემას თავი შეუშვირა და მე-14 წუთზე, მეკარისაგან შორ კუთხეში მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო.

ამერიკელებმა ზედიზედ სამი მატჩი წააგეს, სხვათა შორის, 2001 წლის შემდეგ პირველად. კოლუმბიელებმა ორ მარცხს ერთი გამარჯვება მიაყოლეს, მაგრამ სამი ქულა ფლეი ოფში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ნამატჩევს მათაც შეკრეს ჩემოდნები და სამშობლოში გაემგზავრნენ.

კოლუმბიელებმა თამაში ათი კაცით ჩაამთავრეს. 83-ე წუთზე **კაილ ბეკერმანმა** საპასუხო გოლი შეაგდო. ვენესუელელმა არბიტრმა **მანუელ ანდარსიამ** ის თამაშგარის გამო არ ჩათვალა. მეკარე **რობინსონ საპატამ** ტემპის დაგდება გადაწყვიტა და ბურთის შეყვანას საუკუნე მოანდომა. მსაჯს მოთმინების ფიალა აევსო და მას მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალა. კოლუმბიას სამივე ცვლილება განხორციელებული ჰქონდა. ამიტომ კარის დაცვა თავდამსხმელმა როდალიეგამ ითავა. ამერიკელებმა ამ შემთხვევითაც ვერ ისარგებლეს. მეტოქეს კი კონტრშეტევაზე მინიმუმ ერთი გოლის გატანა შეეძლო.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამერიკამ ვენესუელაში საკმაოდ გამოუცდელი შემადგენლობა ჩაიყვანა. 22 კაციდან 10 და მეტი კეპი მხოლოდ ექვს ფეხბურთელს ჰქონდა. ამის გამო სამხრეთი ამერიკის საფეხბურთო ასოციაციამ ბობ ბრედლი საჯაროდ გააკრიტიკა. კოპამდე ამ მწვრთნელის სანაკრებო მონაგარი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო: 11 მატჩი, 10 მოგება და 1 ნაგება. ამერიკა მომდევნო თამაშს (ამხანაგურს) გიოტებორგში, შვედეთის ნიაღმდეგ ჩაატარებს...

არგენტინამ პარაგვაის მინიმალური ანგარიშით მოუგო. ერთადერთი გოლი ლივერპულელმა **ხავიერ მასკერანომ** გაიტანა. მან ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიიღო და **ალდო ბობადილია** ეფექტური დარტყმით დაუშამათა. "ალბისელესტემ" პირველი ადგილი გაინაღდა, რისი წყალობითაც მეოთხედფინალში პერუს გადაეყარა და არა მექსიკას. სამაგიეროდ, მექსიკასთან პარაგვაელები დაიჭერენ საქმეს.

იმის გამო, რომ არგენტინას მეოთხედფინალის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდა, **ალფიო ბასილემ** გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა. ძირითადში ვიხილეთ **კარლოს ტევესი, როდრიგო პალასიო** და **ფერნანდო გაგო**. ტევესმა მეორე ტაიმის დასაწყისში ძელი შეაზანზარა. ცოტა ხანში პალასიოს დარტყმა ხარიხამ მოიგერია. პარაგვაელებს ერთი რეალური მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **რობერტო აბონდანსიერიმ დანტე ლოპესის** იერიში აუღელვებლად უკუაგდო.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არგენტინა	3	3	0	0	9-3	9
2. პარაგვაი	3	2	0	1	8-2	6
3. კოლუმბია	3	1	0.	2	3-9	3
4. აშშ	3	0	0	3	2-8	0

1/4 ფინალი. 7 ივლისი

ჩილე-ბრაზილია
ვენესუელა-ურუგვაი
არგენტინა-პერუ
პარაგვაი-მექსიკა

მასკერანოს ულოცავენ

ლივერპული

ვორონინი ენფილდზე

სისე და ზენდენი მარსელში. ბენიტესი კვარეშმას არ ეშვება



ანდრეი ვორონინი

"ლივერპული" **რიკარდო კვარეშმას** დაუფლების იმედს არ კარგავს. "პორტუმ" მერსისაიდელების მიერ შეთავაზებული 20.3 მილიონი ევრო უარყო. მეორე დღეს მას მადრიდის "ატლეტიკო" დაუკავშირდა და 22.5 მილიონი შესთავაზა. პორტუგალიელები არც ამ ფასმა დააკმაყოფილა. დაახლოებულით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა თანხად შეძლებენ მერსისაიდელები სურვილის ასრულებას. კვარეშმას ტრანსფერი სანახევროდ მაინც იმ ფულით დაფინანსდება, რომელსაც "ვესტ ჰემი" **კრეიგ ბელამის** სანაცვლოდ გადაიხდის. "ჩაქუჩები" უელსელ თავდამსხმელს 11 მილიონ გირვანქად ყიდულობენ.

ამასობაში, "მარსელმა" "ლივერპულის" ორი ფეხბურთელი აიყვანა. **ჯიბრილ სისემ**, ერთნლიანი საიჯარო ხელშეკრულების ამონურვის შემდეგ, "ოლიმპიკთან" ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის ფინანსური დატალები არ გახმაურებულა. სამი წლის წინ მერსისაიდელებმა თავდამსხმელი "ოსერიდან" 14 მილიონ გირვანქად შეიძინეს. იმხანად ის ლივერპულელთა ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო. "ენფილდიდან" "ველოდრომს" მიაშურა **ბედეიინ ზენდენმაც**. ფრანგებს ჰოლანდიელ ნახევარმცველში ერთი ცენტიც არ დაუხარჯავთ, რადგან ის თავისუფალი აგენტი იყო.

და კიდევ, "ლივერპულმა" მორიგი ახალწვეული წარადგინა. **ანდრეი ვორონინმა** "ენფილდს" სეზონის დასრულებისთანავე მიაშურა, თუმცა მისი პრეზენტაცია გუშინღა შედგა. ვორონინი ინგლისში უფასოდ გადავიდა. **რაფა ბენიტესი** ამბობს, რომ გამოცდილი უკრაინელი მის გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს: *"ის სწრაფი და ენერგიული ფეხბურთელია. მინდორზე ყოველთვის უდიდესი მოცელობის სამუშაოს ასრულებს და მნიშვნელოვან გოლებს იტანს."*

ტევესი ხუთი წლით

ახალი დეტალები **კარლოს ტევესის** მანჩესტერული ტრანსფერის შესახებ: "სანი" იუწყება, რომ არგენტინელი თავდამსხმელი "ეშმაკებთან" ხუთწლიან კონტრაქტს კოპა ამერიკის დასრულებისთანავე გააფორმებს. მას კვირაში 110 ათას გირვანქას დაუნიშნავენ. რაც შეეხება კომპანია MSI-სათვის გადასახდელ კომპენსაციას, შეთანხმება ამ ფრონტზეც მიღწეულია. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში **კია ჯურაბჩიანი** წლიურად 2 მილიონ გირვანქას მიიღებს. "ეშმაკებს" მოუწევთ ფეხბურთელის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაც. ოფიციალური კომენტარები ისევ არ გაკეთებულა.

მატერაცი ინგლისური ტაბლოიდების წინააღმდეგ

მარკო მატერაცი ინგლისურ ტაბლოიდებს სასამართლოში უჩივის. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს. საქმე ეხება შარშანდელი მუნდიალის ფინალისას მომხდარ გახმაურებულ ინციდენტს, როცა **ზინედინ ზიდანმა** იტალიელ მცველს თავი ჩასცხო. ზიზუს არ უთქვამს, რა უთხრა მეტოქემ. ის ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. მან თქვა, რომ მისი დედა და და შეურაცხყვეს. თუმცა ბრიტანულმა გაზეთებმა დიდ-დიდი დიალოგები გამოაცხვეს და ისე დაბეჭდეს თავიანთ გვერდებზე, თითქოს მათი რომელიმე მიმომხილველი მინდორზე იმყოფებოდა და ზიდანისა და მატერაცის საუბარს სულგანაბული ისმენდა. მარკო თვლის, რომ მოგონილი ტექსტების გამოქვეყნებით მის ღირსებას ჩირქი მოსცხეს. ამიტომ "სანს", "მირორსა" და "დეილი სტარს" მორალური ზიანის ანაზღაურებას მოსთხოვს.

კალჩოპოლის ექო

იცით, ვინ არის კოლინა?!

ლუჩანო მოჯი ხელს კოლორიტული არბიტრისკენ იშვერს...

ლუჩანო მოჯი ნეაპოლის რადიო Kiss Kiss-ის ეთერის ხშირი სტუმარია. და არცაა გასაკვირი: ნეაპოლში დაბადებული 70 წლის ყოფილი საფეხბურთო ფუნქციონერი მშობლიურ ქალაქში კვლავაც პოპულარული პერსონაა. მას იქ ისევე სცემენ პატივს, როგორც წლების წინ, როცა "ნაპოლის" გენერალური მენეჯერი იყო...

მოკლედ, მოჯი ისევ სცენაზეა. ის ხშირად იხსენებს ძველ ამბებს და ამბებში ასევე ხშირად ფიგურირებენ ის ადამიანები, რომელთაც იტალიურ ფეხბურთში "სუფთა ხალხის" იმიჯი აქვთ. ყველას ახსოვს მისი შეტევა **ჯაჩინტო ფაკეტიზე**, ამ უკანასკნელის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე. მაშინ ის ამტკიცებდა, რომ ფაკეტის, "ინტერის" პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, რეგულარული და საეჭვო კონტაქტები ჰქონდა იმ მსაჯებთან, რომლებიც ახლა სასჯელს იხდიან. რა თქმა უნდა, მოჯის სიტყვებზე იტალიის საფეხბურთო საზოგადოებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, სწორედაც რომ ფაკეტის პიროვნებიდან გამომდინარე. *"მოჯის ბევრს ლაპარაკობს იმიტომ, რომ ფაკეტი მას პასუხს ვერ გასცემს"* - თქვა მაშინ **მასიმო მორატიმ**...

და აი, "ლუჩანონეს" ახალი "მსხვერპლია" - სახელგანთქმული არბიტრი **პიერლუიჯი კოლინა**, რომლის ავტორიტეტი იტალიურ და მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში განუზომლად დიდია. ამჟამად, კოლინა ფედერკალჩოს სამსაჯო კომიტეტის კონსულტანტია. ჯერჯერობით, ის საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს, მაგრამ უახლოეს მომავალში ფეხბურთის ფედერაცია მას მსაჯთა ზედამხედველის თანამდებობაზე დანიშნავს. მოჯი სწორედ ამას ეხმაურება. ის ფიქრობს, რომ კოლინა ამ პოსტისთვის შეუფერებელი კანდიდატურაა:

"ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, რომ კოლინა ბრწყინვალე მსაჯია. მისი პროფესიონალიზმი ჩემში არანაირ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის არ უნდა დაინიშნოს ამ თანამდებობაზე ელემენტარული მიზეზის გამო: იმ საიდუმლო სატელეფონო საუბრებში კოლინაც იყო ჩართული. მას ფარული კონტაქტები ჰქონდა ზოგიერთი, ყველასთვის კარგად ცნობილი კლუბის დირექტორთან".

ამასთან, მოჯი ჯერ ვერ ხედავს იმ ცვლილებებს იტალიურ ფეხბურთში, რის პირობასაც კალჩოს ახალი ბოსები ერთი წლის წინ იძლეოდნენ: *"მახსოვს, გვიდო როსიმ (იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დროებითი საგანგებო კომისარი ფრანკო კარაროს გადადგომის შემდეგ - რედ) თქვა, ფეხბურთიდან მოჯისა და ჯირაუდოს წასვლა კალჩოს სამყაროს განწმენდას ნიშნავსო. მაგრამ ნახეთ, დღეს იტალიურ ფეხბურთში ისევ ის ხალხი მოღვაწეობს, ვინც მას ბოლო 20 წლის განმავლობაში მართავდა".*

კოლინა და მოჯი

შალკე

კურანი: ჩვენი შემადგენლობა სუსტია

სლომკა ნახევარმცველს ეძებს...

ოთხშაბათს "შალკეს" **კევინ კურანიც** შეუერთდა - ფეხბურთელი, რომელზეც მომავალ სეზონში ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. 25 წლის ფორვარდმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ დაოჯახდა, ჯერ ხმელთაშუა ზღვაზე დაისვენა, შემდეგ მშობლიურ პანამას ესტუმრა. გელზენკირხენში დაბრუნებულმა კი სასწრაფოდ ხმა აიმაღლა.

კევინი უკმაყოფილოა იმ სატრანსფერო პოლიტიკით, რომელიც „შალკეს" ბოსებმა გაატარეს და განრისხებულია იმის გამო, რომ შეფები ბაზარზე აქტიურობას აღარ აპირებენ. როგორც იცით, „შალკემ" **ლინკოლნი** „გალათასარაის" მიჰყიდა, ხოლოდ **ჰამით ალთინთოფი** „ბაიერნს" დაუთმო. და ვინ შეიძინეს შალკელებმა? 5 მილიონიანი ტალანტი **ივან რაკიტიჩი** (ბაზელიდან), რომელმაც ლინკოლნი უნდა შეცვალოს, **ჯერმენ ჯონსი, ჰაიკო ვესტერმანი** და **მათიას შობერი**. თითოეული მათგანი საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ ესენი ის მოთამაშეები არ არიან, ჩემპიონთა ლიგაში მეტოქე გუნდში მათი ყოფნა ვინმეს რომ შეშურდეს.

„თუკი სატრანსფერო ბაზარზე აღარ ვიაქტიურებთ და არავის ვიყიდით, ძალიან რთული სეზონი გვექნება. ახალგაზრდა ფეხბურთელები ძალიერები არიან, მაგრამ მათთან ერთად ჩემპიონობაზე ფიქრი მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ შეიძლება. მე კი „სინის" მოგება ახლავე მინდა!" – აცხადებს კურანი და იქვე აგრძელებს, - *„შალკე" დიდ რისკზე მიდის. მუდმივად მეორე ადგილი ყელში ამომივიდა! იმით, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ, ვერანაირად ვერ დავკმაყოფილდებით. განა არ გვინდა, რომ ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში გაისადაც ვიასპარეზოთ? ლინკოლნი და ჰამითი წავიდნენ – მათი ღირსეული შემცვლელი კი ჯერ არ მოსულა. ეს ძალიან ცუდია!"*

კევინი ამბობს, როგორც კი მენეჯერი **ანდრეას მიულერი** შვებულებიდან დაბრუნდება, მაშინვე შევხვდები და დაველაპარაკებიო. ამის შესახებ ის უკვე შეუთანხმდა გუნდის კაპიტან **მარწელო ბორდონს**. *„მე გუნდისგან უბრალოდ აქტიურობას ველი. გაძლიერება გვჭირდება!"* – ამბობს კურანი.

სხვათა შორის, ასე ფიქრობს გუნდის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკაც**. მას მერე, რაც **სტეფან აპიას** ტრანსფერი ჩაიშალა, (განელმა დიდი ხელფასი მოითხოვა), 39 წლის მწვრთნელმა თვითონ დაიწყო ნახევარმცველის ძებნა. ოთხშაბათს „ხუმარებმა" „ჰერტენს" 12:0 სლომკას გარეშე მოუგეს. მირკო ევროპაში დახეტიალობს და ნახევარმცველს ეძებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამბურგი

ჰუუბის რთული მისია

ჯერ ტოპმიოლერი, მერე დოლი... რა ელის სტევენსს?

როგორც გახსოვთ, პირველ წრეში გაფუჭებული საქმე „ჰამბურგმა“ მეორე წრეში გამოასწორა. თანაც იმდენად, რომ თუ პირველი წრის სატურნირო ცხრილის შემდეგ ბოლო ადგილზე იყო, მხოლოდ მეორე წრის ცხრილს თუ შევხედავთ, HSV-ს მეორე ადგილზე აღმოვაჩენთ! ანუ, როგორც ხედავთ, ზამთრის შემდეგ, ამ გუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა. არადა, გუნდისგან, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზური ჰქონდა მოპოვებული, გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას ელოდნენ. ვფიქრობთ, მკითხველისთვის შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ამბები, რაც HSV-მ ამ სეზონში გადაიტანა. იმასღა შეგახსენებთ, რომ მეორე წრიდან გუნდს ჰუუბ სტევენსი თავკაცობდა და იმ გუნდის გადარჩენას, რომელიც ერთადერთია, ვინც მუდმივად ბუნდესლიგაში ასპარეზობდა და არასდროს გავარდნილა, სწორედ ჰოლანდიელ სპეციალისტს მიანერენ. მეორე წრეში ნაჩვენები შესანიშნავი შედეგების გამო, „ჰამბურგს“ მომავალ სეზონში ყველა წარმატებებს უწინასწარმეტყველებს. ყოველ შემთხვევაში, ყველა დარწმუნებულია, რომ თუ რაფაელ ვან დერ ვაარტი ჯანმრთელად იქნა, „ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო“ ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს. მიუხედავად ამისა, სტევენსის გუნდის გარშემო ბევრი კითხვის ნიშანია.

საერთოდ, „ჰამბურგი“ ერთი დიდი კითხვის ნიშანი გახლავთ. ის, რაც ამ გუნდს გასული სეზონის პირველ წრეში დაემართა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გასაკვირი იყო. მით უმეტეს, ეჭვი გამოიწვია იმანაც, რომ **თომას დოლის** გათავისუფლება და გუნდის გამოსწორება ერთი იყო. არადა, ეს ის მნვრთნელი გახლდათ, რომელმაც გუნდი ქვესკნელიდან ამოიყვანა და ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. ორი წლის შემდეგ კი ისტორია განმეორდა და ახლა თითქოს სტევენსის რიგია. შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგები ბოლო დროს ხშირად იხსენებენ იმ პერიოდს, როცა HSV-დან **კლაუს ტოპმიოლერი** გაათავისუფლეს (სწორედ ტოპი შეცვალა დოლმა). მაშინაც გამოითქვა ეჭვები, რომ ტოპი ფეხბურთელებმა მოიშორეს და იგივე აზრი გაჩნდა დოლის შემთხვევაშიც. რა ელის სტევენსს, ამას მომავალი გვიჩვენებს, ფაქტი კი ის არის, რომ „ჰამბურგის“ მწვრთნელობა ძალიან ძნელია.

...ხუთშაბათს, ჰამბურგში, „მიონკებერგშტრასეზე“ HSV-ს ფეხბურთელებმა და ბოსებმა გუნდის ახალი ფორმა წარადგინეს – ფორმა, რომლითაც ჩრდილოგერმანული კლუბი მომავალ სეზონში იასპარეზებს. თუ გახსოვთ, „ჰამბურგს“ „პუმა“ მოსავდა ხოლმე, ამიერიდან კი, „ადიდასი“ შემოსავს. ახალი ფორმა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმ დროინდელ ფორმას, როცა ჰამბურგელებმა უკანასკნელად იზეიმეს გერმანიის ჩემპიონობა (1983). შესაბამისად, ოპტიკურად HSV ძველ და კარგ დროში ბრუნდება, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით? გუნდი, რომელმაც პირველ წრეში, დოლის ხელში ყველა გააოგნა, მეორე წრეში, სტევენსის მოსვლის შემდეგ ისე გამოსწორდა, რომ კიდევ ერთხელ გააოცა ყველა. ამ ორი წრიდან რომელ მათგანში აჩვენა „ჰამბურგმა“ თავისი რეალური სახე? – საკითხავი, აი, ეს არის.

„რეალური სახე ჩვენ, რა თქმა უნდა, მეორე წრეში ვაჩვენეთ,“ – აცხადებს სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი**. ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ გუნდის ყველაზე დიდი პრობლემაც მოგვარებულია – HSV ხომ **მოჰამედ ზიდანი** იყიდა. ამ უკანასკნელის შეძენა ჩრდილოელებს 5.8 მილიონი ევრო დაუჯდათ. რატომ მოგვარდა ამ ტრანსფერით უმთავრესი პრობლემა? თავად განსაჯეთ: HSV-ს თავდამსხმელებმა **ბოუბაკარ სანოგომ, ივიცა ოლიჩმა, დანიელ ლიუბოჟამ** და **პაულო გერრომ** მთელი სეზონის მანძილზე, ერთად, 19 გოლის გატანა მოახერხეს. ზიდანმა კი, „მაინცის“ შემადგენლობაში, მხოლოდ მეორე წრეში 13 გოლი გაიტანა.

„წინდაწინვე ცხადია, რომ „ჰამბურგს“ გაცილებით უკეთესი სეზონი ექნება. ის, რაც გასულ სეზონში მოხდა, აღარ განმეორდება,“ – აცახდებს „ჰანოვერის“ თავკაცი **დიტერ ჰეკინგი**. „შალკეს“ დამრიგებელი **მირკო სლომკა** კი უფრო შორს მიდის: *„არა მგონია, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის მხოლოდ „ბაიერნმა“ იბრძოლოს. პირადად მე ხუთი გუნდის დუელს ველი. „ბაიერნთან“ ერთად, „ვერცხლის სინზე“ პრეტენზია „შტუტგარტს“, „შალკეს“, „ვერდერს“ და „ჰამბურგს“ ექნებათ!“* ველზენკირხენული კლუბის მენეჯერი **ანდრეას მიულერი** კი, აი, რას ამბობს: *„სტევენსი HSV-სთვის ზედგამოჭრილი მწვრთნელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჰუუბთან ერთად ეს გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.“*

ჰუუბ სტევენსი

კოლეგების ასეთ შეფასებებზე სტევენსს ირონიულად ეღიმება. *„ჰო, რა თქმა უნდა, ამას იტყვიან და არა სხვა რამეს. ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ მანევრია. კოლეგებს ძალიან ვაფასებ, მაგრამ მათი ასეთი ტრაფარეტული აზრი ჩემთვის უმნიშვნელოა. ცხადია, რომ „ჰამბურგისგან“ ყველა წარმატებებს ელის. მე კი ვფიქრობ, რომ მომავალ სეზონში „ბაიერნს“ კონკურენციას ვერავინ გაუწევს!“* – აცხადებს ჰუუბი და იქვე ამატებს, - *„კონკურენტები პატივს რომ გვცემენ, ეს ვიცი, მაგრამ მათი აზრი ნაკლებად მაინტერესებს. მთავარი ეს კი არა, არამედ ის არის, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ საკუთარ თავს და რისი მიღწევა გვსურს. ფაქტი ერთია: გუნდმა წინა სეზონზე უკეთესი სეზონი უნდა ჩაატაროს.“*

ჰოლანდიელი მწვრთნელი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ისურვებდა, მაგრამ გუნდის ბიუჯეტი ბევრის საშუალებას არ იძლევა. *„არა უშავს, სამაგიეროდ, ლაზარეთიდან დიდი ხნის ტრავმირებული მოთამაშეები, გი დემელი და ვენსან კომპანი ბრუნდებიან. ისინი ხომ ფაქტობრივად ახალწვეულები არიან, რადგან მთელი სეზონი გაუცდათ,“* – თავს იმშვიდებს სტევენსი.

მაშ საიდუმლო ფავორიტი თუ ნაგვის ყუთი? რომელი მცნება უფრო შეეფერება HSV-ს? გასული სეზონის პირველ წრეში მეორე უფრო შეეფერებოდა, მეორეში კი პირველი. ფაქტი ერთია, გუნდს აქვს დიდი პოტენციალი. თუმცა „ჰამბურგს“ კითხვის ნიშნებიც მრავლად სდევს...

გოტფრიდ ლენცი

ეს საინტერესოა

სტევენსზე წარმატებული მხოლოდ ზებეცი იყო...

თუ „ჰამბურგის“ ყველა მწვრთნელის მონაგარს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ სტევენსზე წარმატებული, ქულების საშუალო მაჩვენებლით, მხოლოდ ლეგენდარული ბრანკო ზებეცი იყო. თუმცა ამ ცხრილისთვის ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტევენსს ჯერჯერობით მხოლოდ 15 მატჩში აქვს ასეთი კარგი მაჩვენებელი. და საერთოდ: რომ არა გასული სეზონის პირველი წრე, ახლა პირველ ადგილზე თომას დოლი იქნებოდა! ქვემოთ HSV-ს საუკეთესო 14 მწვრთნელია ჩამოთვლილი...

მწვრთნელი	როდიდან	როდემდე	თამაში	ქულა
1. ბრანკო ზებეცი	01.07.78	16.12.80	85	2.11
2. ჰუუბ სტევენსი	02.02.07	-	15	2.00
3. ერნსტ ჰაპელი	01.07.81	30.06.87	204	1.86
4. ალექსანდრ რისტიჩი	01.01.81	30.06.81	17	1.71
5. თომას დოლი	18.10.04	01.02.07	79	1.62
6. კუნო კლიფტცერი	01.07.73	30.06.77	136	1.58
7. ვილი რანიანი	11.11.87	01.04.90	71	1.56
8. კურტ კრეი	01.07.67	15.05.69	64	1.44
9. გერდ-ფოლკერ შოკი	05.01.90	11.03.92	77	1.43
10. მარტინ ვიკლე	01.07.63	09.05.64	30	1.43
11. კურტ იარა	04.10.01	22.10.03	69	1.42
12. კლაუს ტოპმიოლერი	23.10.03	17.10.04	33	1.42
13. ფრანკ პაგელსდორფი	01.07.97	17.09. 01	142	1.40
14. ფელიქს მაგათი	05.10.95	18.05.97	58	1.40

სამპდორია: მონტელა მოდის, კასანო ძვირია

"სამპდორიის" გენერალური მენეჯერის **ბეპე მაროტას** სიტყვები, ამ დღეებში ჩვენს ერთ-ერთ ყოფილ ფეხბურთელს დავიბრუნებთო, საკმარისი აღმოჩნდა მიმომხილველებისთვის, რომ **ვინჩენცო მონტელა** სასპეკულაციო თემად ექციათ. მონტელა "ფულჰემში" იყო განათხოვრებული. ინგლისში გატარებული უსახური თვეების შემდეგ, "აეროპლანინო" "რომაში" დაბრუნდა, მაგრამ როგორც ჩანს, **ლუჩანოს სპალეტის** ის არც ახლა სჭირდება. გენუაში კი მას ძალიან აფასებენ. "სამპში" მან 1996-99 წლებში ითამაშა. ამ პერიოდში მან 83 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 54 გოლი გაიტანა. 22 გოლით კი, 1996/97 წლების სეზონში, სულაც სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ამავე ინფორმაციაში საუბარია **ანტონიო კასანოს** შესაძლო ტრანსფერზეც. მაგრამ "დორიას" გენერალურ მენეჯერს ეს უტოპიად მიაჩნია: ის დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ნარმოუდგენელია, "რეალიდან" ჩვენთან მოვიდესო. *"ესეც არ იყოს, "სამპდორიისთვის" კასანო ძალიან ძვირია"* - დასძენს მაროტა.

მილიტო: იუვეში დღეს ან არასოდეს

"იუვენტუსმა" კიდევ ერთი ულტიმატუმი წაუყენა "სარაგოსას", ვისგანაც **გაბრიელ მილიტოს** ყიდვა სურს. "ბებერმა ქალბატონმა" არაგონულ კლუბს 24 საათი მისცა იმის მოსაფიქრებლად, დათმობს თუ არა 26 წლის არგენტინელ მცველს, რომელიც ახლა "კოპა ამერიკის" გათამაშებაში მონაწილეობს. თავიდან, ტურინელებმა ესპანურ მხარეს 10 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. "სარაგოსამ" 2 მილიონით მეტი მოითხოვა. "იუვენტუსი", როგორც კლუბის სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამბობს, ამ პირობებზე დათანხმებას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მილიტოს "ბარსელონა" და "რეალიც" ეპატიუებიან. თავად ფეხბურთელს კატალონიაში სურს გადაბარგება, მაგრამ "სარაგოსას" ტურინელთა წინაშე გარკვეული ვალდებულებები აქვს. ადრინდელი გარიგების თანახმად, ესპანელები ვერ დაელაპარაკებიან სხვა კლუბს, სანამ "ქალბატონთან" ურთიერთობას არ გაარკვევენ. ესეც არ იყოს, თავად "სარაგოსის" პრეზიდენტს ურჩევნია, მილიტო უცხოეთში გაუშვას, ვიდრე ესპანურ კლუბს ჩაუგდოს ხელში.

ნაპოლი: ახალი მარადონა და ურუგვაელი

"ნაპოლი" არგენტინელ ფორვარდ **ესეკილ ლავესის** ყიდულობს. 22 წლის ფეხბურთელს, რომელიც "სან ლორენსოს" ღირსებას იცავს, სამშობლოში "ახალი მარადონას" მეტსახელი აქვს. არგენტინული "კლარინის" ცნობით, ნეაპოლელთა პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** და გენერალურმა დირექტორმა **პიერპაოლო მარინომ** ფეხბურთელი საქმეში რამდენჯერმე იხილეს და აღფრთოვანებულნიც დარჩნენ. "ნაპოლი" 3.5 მილიონ გირვანქასა და 5-წლიან კონტრაქტს იძლევა მოთამაშეში, რომელსაც მადრიდის "ატლეტიკოც" აკვირდება.

ამას გარდა, დე ლაურენტისმა კიდევ ორი ინფორმაცია დაადასტურა. ერთი ის, რომ "ნაპოლიში" გადავიდა ურუგვაელი ნახევარმცველი **ვალტერ გარგანო**, და მეორეც: მთავარმა მწვრთნელმა **ედოარდო რეჯამ** კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. 61 წლის ტაქტიკოსი "სან პაოლოზე" 2005 წლიდან მუშაობს. "ნაპოლიმდე", მან "ვიჩენცა" ორჯერ (1998/99 და 2000/01 წლებში) გადაიყვანა სერია A-ში.

ტორინო: უკვე ნატალიც...

"ტორინო" გაძლიერების პროცესშია. გუშინწინ, "ბროწეულებმა" პალერმოელი ფორვარდი **დავიდ დი მიკელე** გაიფორმეს, ხოლო გუშინ საბოლოოდ სრულყვეს გარიგება "უდინეზეს" მცველ **ჩეზარე ნატალისთან**. ნატალი 28 წლისაა. მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ის ადრე "ატალანტაში" თამაშობდა, იყო იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი. "ტორომ" ნატალიში 2.5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

უიფალუში: აღარც ფიორენტინა, აღარც იტალია

ტომაშ უიფალუშის აგენტი, ქართველებისთვის კარგად ნაცნობი **ბაირამ თუთუმლუ** (თბილისში **ანრი მიშელი** რომ ჩამოიყვანა) პრესას ამცნობს, რომ მის კლიენტს იტალიიდან წასვლა სწადია. ჩეხს სერია A-ში თამაში მობეზრდა და თვალი ესპანეთისკენ უჭირავს. იქ მას "სევილია" ინვევს. "ფიორენტინის" მესვეურები აცხადებენ, რომ ფეხბურთელს ხელს არ შეუშლიან. 29 წლის მცველის ფლორენციული კონტრაქტი 2008 წლის ივნისში იწურება. "ვიოლა" ექსჰამბურგელში მინიმუმ 5.5 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

ვერდერი

შეცვლის თუ არა ბაროში კლოზეს?

როგორც ირკვევა, ბრემენის „ვერდერი“ გულხელდაკრეფილი არ არის და მიროსლავ კლოზეს შემცვლელს მაინც ეძებს. გუშინ გერმანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბრემენელებს „ლიონისა“ და ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელის, **მილან ბაროშის** გადაბირება სურთ. *„დიახ, ბაროში ერთ-ერთი სასურველი კანდიდატია,“* - ფეხბურთელით დაინტერესებას ადასტურებს „ვერდერის“ გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი**, მაგრამ იქვე ამატებს, მილანის ყიდვა ძნელი იქნებაო. 25 წლის ბაროშს, რომელმაც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე 5 გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ლიონთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

ბაროში ფრანგულ გრანდში იანვარში გადავიდა და გეხსომებათ, რომ "ლიონმა" ის „ასტონ ვილას“ **ჯონ კარუში** გაუცვალა. არადა, პრემიერლიგაში ჩატარებულ 17 თამაშში მხოლოდ და მხოლოდ 1 გოლი ჰქონდა გატანილი. მიუხედავად ამისა, **ჟერარ ულიემ**, რომელიც ბაროშს „ლიივერპულში“ წვრთნიდა, ის „ლიონში“ მაინც წაიყვანა. საფრანგეთის პირველობაზე კი 12 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ანუ, ჩეხი ფორვარდი დღესდღეობით დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ყველასათვის სასურველ ფეხბურთელად რჩება.

„დიახ, ვიცი, რომ ჩემი გადაბირება „ვერდერმა“ მოისურვა. ბრემენელებმა კონკრეტული წინადადებითაც მომმართეს და უნდა ვთქვა, რომ ეს ჩემთვის დიდი პატივია. უკვე ვესაუბრე ჩემს მწვრთნელ ალენ პერენს და ყველაფერი ვაცნობე. ისიც ვუთხარი, რომ „ლიონში“ თავს კარგად ვგრძნობ და რომ აქ დარჩენა მინდა. სწორედ ამიტომ, ამ მომენტში ტრანსფერი არარეალურად მეჩვენება,“ - განუცხადა ბაროშმა „შპორტბილდს“. თუმცა ამით ამ ტრანსფერზე ბოლო სიტყვა ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი...

ინტერვიუ პატრიკ ვიეირასთან

ჩემს კოლექციას ჩემპიონთა თასი აკლია

ვიეირას აზრით, ინტერი ახლა ყველგან იბატონებს

წლების განმავლობაში, პატრიკ ვიეირა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლებოდა. "არსენალთან" და საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ერთად, მრავალი ტიტულის მოპოვების შემდეგ, ის იტალიაშია და ახლა "ინტერთან" ერთად მოპოვებული წარმატებით ტკბება...

- "ინტერი" იტალიის ჩემპიონი გახდა. რას ნიშნავს ეს შენთვის?

- ყოველთვის სასიამოვნოა ტიტულის მოპოვება (იღიმის). კლუბისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემპიონატში გამარჯვება, აგრეთვე ქომაგებისთვისაც, რადგან "ინტერმა" ბოლოს 1989 წელს, თითქმის 20 წლის წინათ დაამარცხა ყველა ძლიერი მეტოქე. ვამაყობ იმით, რომ ამ ისტორიულ ტრიუმფში ჩემი პატარა წვლილიც შევიტანე.

- "ინტერმა" ხომ შარშანაც მოიგო ჩემპიონატი?

- დიახ, მაგრამ ეს მთლად სპორტულ არენაზე არ მომხდარა. ის ტიტული ეჭვს იწვევდა. სიმართლე გითხრათ, ამ "წარმატებამ" არავინ აღაფრთოვანა.

- თქვენ "იუვენტუსში" იყავით, როცა "კალჩოპოლის" სკანდალი აგორდა. რამდენად იმოქმედა ამ სკანდალმა ფეხბურთელებზე?

- გასული წელი არც ისე ხეირიანი გამოდგა ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის. სკანდალის შესახებ, მხოლოდ მედიის საშუალებით ვიგებდით. რაც მოხდა, ძალზე სამწუხარო და გამაოგნებელი იყო, თანაც, გაზეთებში ყოველდღე ახალახალი ისტორიები ჩნდებოდა. იმედია, ამგვარი რამ ჩემს ცხოვრებაში აღარ განმეორდება.

- "ინტერმა" სკუდეტო უდიდესი უპირატესობით მოიგო. როგორი გრძნობაა, როცა მთელი სეზონის განმავლობაში დომინანტი ხარ?

- ძალიან კარგი გრძნობაა, რადგან ჩვენი გუნდური სულისკვეთება უბრალოდ არაჩვეულებრივი იყო. სეზონის წინ უკვე ვიცოდით, რომ საუცხოოდ ვიყავით მომზადებულები. გუნდის ერთსულოვნება მთავარი ფაქტორი იყო მოპოვებულ წარმატებაში. ამიტომაც მოვიგეთ ბევრი მატჩი. გუნდში დიდი ხნით დამკვიდრებული ხავიერ ძანეტისა და ივან კორდობას თამაშს "შესანიშნავს" ვუწოდებდი. ისინი სიტუაციას აკონტროლებდნენ, ჩვენ ერთ მუშტად შეკრულები ვიყავით და ყველაფერი ამან გადაწყვიტა.

- ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები ლუდის სმით ხომ არ ერთობოდნენ, როგორც ეს სამოყვარულო სპორტში ხდება ხოლმე?

- არა, რა თქმა უნდა (იღიმის). საერთოდ, ფეხბურთელებს ვარჯიშზე, მატჩებზე, ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობის შემდეგ, სურთ განმარტოება. ასეთი ვარ მეც. ოჯახი ხშირად მენატრება და თავისუფალ დროს ყოველთვის მასთან ერთად ვატარებ.

- როგორც ყველა სხვა მაღალი რანგის კლუბი, "ინტერიც" მრავალეროვნულია. რომელ ენაზე საუბრობთ ერთმანეთში?

- საერთოდ, იტალიურად. ჩვენთვის, უცხოელებისთვის, ამ ენაზე ურთიერთობა ნორმალური მოვლენაა. იტალიაში ვცხოვრობთ, იტალიურ კლუბში ვთამაშობთ... ასე რომ, იტალიური უნდა ვისწავლოთ.

- პირადად შენთვის რას ნიშნავს ლიგის ტიტულის მოპოვება?

- მირჩევნია, არ შევადარო ეს ტრიუმფი დანარჩენებს, რადგან ყოველი ტიტულის მოგებას თავისი ისტორია აქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლა კიდევ უფრო მეტი მსურს.

- რას იტყვი მომავალ სეზონზე?

- უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, რომ სკუდეტო შევინარჩუნოთ. დარწმუნებული ვარ, ეს შეგვიძლია. "ინტერი" იტალიური ფეხბურთის დომინატორი იქნება მომავალი ორი-ოთხი წლის განმავლობაში. არცერთი სხვა გუნდი არ არის მისი დონის.

- არც "ინტერს" და არც შენ არ მოგიგიათ ჩემპიონთა ლიგა...

- ეს სანუკვარი ოცნებაა და იმედია, მომავალ სეზონში ამასაც მოვახერხებთ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი მოგებული მაქვს, ჩემს მდიდარ კოლექციას ჩემპიონთა ლიგა აკლია. ეს ის ტურნირია, რომლის მოგებაც ძალიან მინდა.

- "იუვენტუსი" "კალჩოპოლის" გამო დააქვეითეს. იმ დროს, როცა ჯანლუიჯი ბუფონი, პაველ ნედვედი და დავიდ ტრეზეგე კლუბში დარჩენით მას მხარში ამოუდგნენ, შენ მზად არ აღმოჩნდი იმისთვის, რომ ერთი წელი სერია B-ში გაგეტარებინა. რატომ გადაწყვიტე "იუვენტუსის" დატოვება?

- მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით. წლების მანძილზე მაღალ დონეზე ვთამაშობ და ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის ვმონაწილეობდი. ამიტომაც არ მსურდა გზიდან გადახვევა. როცა იუვენტუსი" სერია B-ში გააგდეს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იქ არ გავჩერდებოდი. მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. შესაძლოა, "ინტერმა" დროზე ადრე დატოვა ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ იტალიის ჩემპიონატი ხომ მოვიგეთ...

- გასულ წელს არა მხოლოდ შეიცვალე კლუბი, არამედ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დამარცხდი...

- მინდა გითხრა, რომ ფინალში იტალიასთან მარცხის შემდეგ, ყველა გაოგნებული ვიყავით. უპირატესობა არც ისე დიდი იყო... მაგრამ ახლა ნამდვილად ვამაყობ საფრანგეთის მიღწევით. მეორე ადგილიც წარმატებაა.

- შარშან, ჩვენთან ინტერვიუში, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა თქვა - მსოფლიო თასის ფინალში მარცხის მთავარი მიზეზი მოედნიდან ზიდანის გაძევება კი არ იყო, არამედ ტრავმის გამო ვიეირას იძულებითი შეცვლაო...

- დიახ, ვიცი. რა თქმა უნდა, მარცხში პასუხისმგებელი მეც ვარ. მოედანი ძალიან ადრე დავტოვე. მეორე ტაიმის დასაწყისში ორივე ფეხის კუნთი დამეჭიმა, რადგან ძალზე გადაღლილი ვიყავი. შესაძლოა, მიზეზად ისიც ჩაითვალოს, რომ სტრესის გამო თამაში არ წამივიდა, ანდაც ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე ძალიან ბევრი მატჩი ვითამაშე. იმ დრომდე, სანამ ფინალში შემცვლიდნენ, მეგონა, ჩემი გუნდი თანდათან ძლიერდებოდა და შეგვეძლო იტალიის დამარცხება...

- მომავალ წელს შენ კვლავ გექნება საფრანგეთთან ერთად ტიტულის მოპოვების შანსი...

- დარწმუნებული ვარ, შვეიცარიასა და ავსტრიაში დიდ ფეხბურთს ვითამაშებთ. საფრანგეთს დიდებული გუნდი ჰყავს და მისი მომავალი ვარდებით მოფენილ ხალიჩაზე გადის. ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი და წარმატებას მოწყურებული ფეხბურთელია ჩვენთან. საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს უდიდეს ხუთეულში შედის. ბედნიერი ვარ და ვამაყობ ამ გუნდის კაპიტნობით.

- "არსენალში" 9 წელი თამაშობდი და იქაც კაპიტნობდი. დღეს ეს დიდ მიღწევად ითვლება?

- დიახ, ასეა. ორი წლის წინ "არსენალიდან" წასვლის მიზეზს ვერ ვხედავდი. ლონდონში ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როგორც საფეხბურთო მოედანზე, ისე მის გარეთაც. ჩვენ გუნდს ფანტასტიკური მწვრთნელი ჰყავდა არსენ ვენგერის სახით. 20 წლის ვიყავი, როცა მან ინგლისში ჩამიყვანა და დამეხმარა იმაში, რომ კაცად მეგრძნო თავი, როგორც ფეხბურთში, ისე ცხოვრებაშიც...

- წლების განმავლობაში შენზე საუბრობდნენ, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველზე. გითამაშია გამორჩეული ფეხბურთელების წინააღმდეგ და მათი თანაგუნდელიც ყოფილხარ. ვინ შენზე დატოვა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

- საფეხბურთო ნიჭის მხრივ, ზინედინ ზიდანმა და დენის ბერგკამპმა. მსიამოვნებდა როი კინის წინააღმდეგ თამაში. ჩვენი ორთაბრძოლები ყოველთვის დაძაბული და ამაღელვებელი იყო. კინი ფანტასტიკური კაპიტანი იყო, ის კარგი ადამიანიცაა. როგორც ფეხბურთელებს, დიდ პატივს ვცემ სტივენ ჯერარდსა და პოლ სქოულზს, რომლებიც ბოლო ათწლეულის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად მიმაჩნია.

- შენ მსოფლიოს სამი მაღალი დონის ლიგაში გითამაშია. რა განსხვავებაა საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ჩემპიონატებს შორის?

- სამივე ლიგა ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა, მაგრამ მთავარი განსხვავება თამაშისადმი მიდგომაშია. იტალიაში გულშემატკივრები, ალბათ, ყველაზე მეტად დამუხტულები არიან. თქვენ იქ ან უყვარხართ, ან სძულხართ. ერთ დღეს თქვენ გმირი ხართ, მეორე დღეს კი არაფერი. ინგლისში მხარდაჭერას სხვანაირი სახე აქვს. თუ ქომაგებს გუნდი უყვართ, მთელი გულით და სულით მასთან ერთად არიან. მარცხის შემდეგაც კი ტაშს გიკრავენ და გამხნევებენ. რაც შეეხება საფრანგეთს, ქვეყნის სამხრეთი იტალიას ჰგავს, ჩრდილოეთი კი ინგლისს.

- ფეხბურთელის თვალით, როგორი განსხვავებაა ინგლისსა და იტალიას შორის?

- იტალიაში ვარჯიში ძალიან რთულია, უფრო მეტი უნდა ირბინო, ვიდრე ინგლისში. პრემიერლიგაში ბედნიერი ვიყავი, ახლა კი, იტალიურ ფეხბურთში, საკუთარ სახლში ვგრძნობ თავს. მიყვარს აქ ყოფნა. მსურს, კიდევ დიდხანს ვითამაშო და უფრო მეტი ტიტული მოვიპოვო. 31 წლის ვარ, მაგრამ ჯერ არაფერი დამიმთავრებია. ერთ დღეს ჩემი კარიერა დასრულდება, მაგრამ იმედია, ეს დღე ჯერ კიდევ შორსაა. უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომ კარიერის დასრულების შემდეგაც ფეხბურთში დავრჩები.

- რა სტატუსით?

- სენეგალის ქალაქ სალის სოციალურ პროექტში ჩავერთე ყოფილ ფეხბურთელებთან, ბერნარ ლამასა და ჯიმი აჯოვი-ბოკოსთან ერთად. "დიამბარის" (ასე ჰქვია პროექტს - ავტ) წყალობით, ბავშვებსა და მოზარდებს დავეხმარებით, მონახონ საკუთარი თავი ფეხბურთსა და საერთოდ, ცხოვრებაში. მიხარია, რომ ფიფამ ჩვენს სკოლებს ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, აფრიკაში... უფრო სენეგალში დავფუძნდები, იქ, სადაც დავიბადე.

- საფრანგეთში ოჯახთან ერთად 8 წლისა გადახვედი. შენი თავი სენეგალელად მიგაჩნია თუ ფრანგად?

- მე საფრანგეთში გავიზარდე, აქ ვისწავლე და ვამაყობ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში თამაშით, მაგრამ ჩემი ფესვები, კულტურა და ქცევა აფრიკულია.

- ალბათ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შენთვის 2002 წელს, კორეა/იაპონიაში, სენეგალთან მსოფლიო ჩემპიონატის გახსნით მატჩს?

- დიახ, მსოფლიო თასის დებიუტანტ სენეგალთან საფრანგეთის მარცხმა შოკი გამოიწვია. შესაძლოა, ასეც ჩანდა, თუმცა ჩემს ოჯახს იმ მატჩში საფრანგეთის წინააღმდეგ არ უქომაგია...

დავით ჩუბინიძე

FIFA MAGAZINE-ის მიხედვით



პატრიკ ვიეირა

ლაციო: საჯარიმოს არიან ფანები?

"ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტოს** გულშემატკივრებს აქტიურობისაკენ მოუწოდებს. რომაელები უკმაყოფილონი არიან სადღეისოდ გაყიდული აბონემენტების რაოდენობით. "ბიანკონელესტემ" გასული სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მიიღო. ამის მიუხედავად, ტიფოზები მომავალ მატჩებზე დასწრების სურვილს რატომღაც არ ამჟღავნებენ. ლოტიტო ამბობს: *"მარტო ლაპარაკი საქმეს ვერ შველის. ქომაგებს ძალიან ვაფასებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ისინიც ვალდებულნი არიან, კლუბის კეთილდღეობაზე იზრუნონ. საქმე ფულს არ ეხება. ეს უფრო სოლიდარობის საკითხია, თორემ ზოგიერთი აბონემენტი კინოს ბილეთზე იაფი ღირს."*

ანელკას ვალენსია ეპატიჟება

ნიკოლა ანელკა ესპანეთში დაბრუნებას არ გამორიცხავს. "ბოლტონის" თავდასხმელს "ვალენსია" ეპატიჟება. მისი შეძენა თითქოს "არსენალსაც" სურდა, მაგრამ "მეთოფეებმა" ხორვატ-ბრაზილიელ **ედუარდო და სილვაზე** შეაჩერეს არჩევანი. ამიტომ "ვალენსია" ანელკასათვის ერთადერთ რეალურ ვარიანტად რჩება. ნიკოლას პრემიერა დივიზიონში ერთი სეზონი აქვს გატარებული. 1999-2000 სეზონში ის "რეალის" ღირსებას იცავდა და სულ 3 გოლი გაიტანა, თუმცა ჩემპიონთა თასი მოიგო.

სარაგოსა: მოგაც, მილიტოც

"სარასოგას" ბარსელონელი **ტიაგო მოტას** ყიდვა სურს. **ვიქტორ ფერნანდესის** უპირველესი სამიზნე დონეცკელი ბრაზილიელი **ფრანსელინო მათუსალემია**, მაგრამ "ბახტართან" მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ფეხბურთელის ფასზე მორიგება ვერ ხერხდება. რაც შეეხება მოტას, კატალონიელები "სარაგოსის" არგენტინელი მცველით **გაბრიელ მილიტოთი** დაინტერესდნენ. არაგონელები თანახმანი არიან, მოტას ხათრით მილიტოს ფასს რამდენიმე მილიონი ევრო გამოაკლონ. და კიდევ, სარაგოსელები "დეპორტივოს" ცენტრალური მცველით **ფაბრიციო კოლოჩინითაც** დაინტერესდნენ. ამ ბიჭს "ოლიმპიაკოსი" და "ტოტენჰემიც" ეპატიჟებიან. ბერძნები მის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს იხდიან, მაგრამ კოლოჩინის ესპანეთში დარჩენა უნდა.

ბაიერნი

ალთინთოფი: მე ჩემი პლუსები მაქვს

შვაინი აგვისტოში დაბრუნდება

მარსალია, მიუნხენში ახლა ყველა **ლუკა ტონიზე, ფრანკ რიბერისა** და **მიროსლავ კლოზეზე** საუბრობს, მაგრამ „ბაიერნის" სხვა ახალწვეულებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. მაგალითად, **ჰამით ალთინთოფი** - თურქი ნახევარმცველი, რომელიც რეკორდმაისტერში „შალკედან" უფასოდ გადავიდა. ტყუპისცალი უკვე სრულფასოვანი ბავარიელია, რასაც მისი სიტყვებიდანაც მიხვდებით. *„მომავალ სეზონში „ბაიერნი" არა მარტო „შალკეს" გაასწრებს, არამედ უკან მოიტოვებს აბსოლუტურად ყველა გუნდს!"* – განაცხადა ჰამითმა პირველივე ვარჯიშის შემდეგ, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ გელზენკირხენიდან ბავარიის მთავარქალაქში ტიტულების მოსაგებად ჩავიდა.

„ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ოტმარ ჰიტცფელდს ვჭირდები. ასე რომ არ ყოფილიყო, აქ არავინ დამიძახებდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სათადარიგოთა სკამისთვის ვარ განწირული და რომ უთამაშებლობას შევეგუები, ძალიან ცდება. ყველაფერის გავაკეთებ იმისათვის, რომ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო და ვიცი, რომ თუ თავს არ დავზოგავ და კარგ ფორმაში ვიქნები, აქ არავინ დამჩაგრავს," – ამბობს თურქი ნახევარმცველი, რომელსაც მარჯვენა მცველის ფუნქციების შესრულებაც ხელეწიფება და იქვე ამატებს, - *„მე უბრალოდ ჩემი პლუსები მაქვს!"*

პლუსები რომ აქვს და თანაც ბევრი, ეს ჰიტცფელდმა ძალიან კარგად იცის და იცის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმაც**, რომელიც ჰამითს „ბაიერნის" სიურპრიზობას უწინასწარმეტყველებს. ქომაგებმაც ძალიან მალე შეიყვარეს – პირველივე ტესტმატჩის (სან პაულოსთან) შემდეგ, რომელშიც ალთინთოფმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

დაბოლოს, ინფორმაცია, რომელიც რეკორდმაისტერის ქომაგებს ძალიან გაახარებს. **ბასტიან შვაინშტაიგერი** აცხადებს, მინდორს აგვისტოს დასაწყისში დავუბრუნდები და ეს უკვე გადაწყვეტილიაო. როგორც იცით, სამ თვეზე მეტია, რაც შვაინი ლაზარეთში იმყოფება. *„მინდა, რომ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე ვითამაშო, მერე ბუნდესლიგის სტარტზეც წარვდგე და გერმანიის ნაკრების რიგებშიც ვიასპარეზო,"* - განუცხადა შვაინშტაიგერმა „შპორტ ბილდს".

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჰალათბურთი — ევროპის ჩემპიონატი

6 ივლისი, გორიცია (იტალია)

საქართველო–ლატვია 102:72

30:21, 26:16, 27:17, 19:18

საქართველო	წთ	ქ	ბ	პ	ჩ	დ	შ
გაფრინდაშვილი	25	13	5	5	0	0	1
დიდია	18	14	1	2	0	0	0
ფარღალავა	16	19	4	2	2	0	4
ბერიშვილი	21	6	3	2	2	1	1
შერვადინი	21	17	9	1	1	4	3
წიფწიფაძე	15	5	2	2	1	0	0
ცეკავა	6	0	1	2	0	0	0
ლაფანაშვილი-	17	2	4	1	0	0	0
ჭოჭუა	25	14	3	2	0	0	3
ჯგერენაია	4	0	1	0	0	0	0
გულისაბედაშვილი	13	7	0	0	0	0	1
მათიაშვილი	19	5	4	0	1	0	1

ლატვია	წთ	ქ	ბ	პ	ჩ	დ	შ
როზიტისი	17	3	2	1	0	0	2
სტრუპოვიჩსი	31	9	3	1	1	0	1
კანბერგსი	25	3	2	0	0	0	0
ტროპსი	9	2	1	2	2	0	0
კელმინსი	21	8	3	1	0	0	2
ბრინკანსი	11	3	0	2	0	0	1
ფრეიმანისი	11	7	4	0	0	0	0
ეგლიტისი	12	0	2	1	1	0	0
კუპსიკსი	15	4	4	1	0	0	1
სელაკოვსი	6	1	0	0	0	1	1
ზაკისი	24	19	6	2	2	0	0
მელნიკსი	18	13	6	0	1	0	2

ჩოგბურთი

დავით ლანჩავა და ლაშა დვალიშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

მატჩის შემდეგ

დავით უსტიაშვილი

იტალიის ქალაქ გორიციას 5-ათასიან დარბაზში ტრიუმფალურად დასრულებული მატჩის შემდეგ, ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი სასტუმროში არ დაბრუნებულა. ის მომდევნო მეტოქეთა მატჩს (იტალიაბულგარეთი) ელოდა, როცა რედაქციიდან დავუკავშირდით...

- დღევანდელმა მოგებამ თითქმის ისევე გაგვაკვირვა, როგორც 3 წლის წინათ, ეროვნული ნაკრების რუსეთთან გამარჯვებამ. ასეთ სხვაობას არ ველოდით...

- ვარჯიშების მიხედვით, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ლატვია ერთ-ერთი ყველაზე ათლეტური და ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი იყო. ეს მატჩის დროსაც გამოჩნდა, მაგრამ მათი ყველა პლუსი ჩვენმა მონდომებამ და გუნდურმა თამაშმა გააბათილა. ყველას ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ამ შეხვედრის წაგება არ შეიძლებოდა. თითოეულმა კალათბურთელმა მაქსიმუმი გაიღო, რაც დაცვაში მწყობრი და შეტევაში ზუსტი თამაშის საწინდარი გახდა. ფარქვეშაც კარგად გავისარჯეთ და მეტოქეს პერიმეტრზეც ვაჯობეთ. თუმცა იყო მცირე შეცდომებიც, მაგრამ ამის გამო, არავის გავკიცხავთ. მატჩი 40 წუთს გრძელდება და ერთი-ორი შეცდომის დაშვება ჩვეულებრივი ამბავია.

- სტატისტიკის მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ლატვიელებს აშკარად სუსტი გუნდი ჰყავთ...

- მათ მაღალი მეფარეებიც ჰყავდათ, ძლიერი ფორვარდებიც და კარგი უკანახაზელებიც. რაშდენჯერაც თავისუფალი ადგილი ნახეს, ბურთი იმდენჯერ ჩაგვიგდეს, მაგრამ ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაცვაში მტკიცე თამაშით მეტოქეს სროლის საშუალებას იშვიათად აძლევდნენ. ლატვიელთა რეალურ ძალას მომდევნო მატჩები უკეთესად დაგვანახვებს.

- გამგზავრებამდე, ერთ-ორ კალათბურთელს ტრავმა ანუხებდა...

- გიორგი შერმადინისა და რეზო დიდიას სრულად დატვირთვას მოვერიდე. გიორგის ოპერაცია ახალი გაკეთებული აქვს და მისი მუხლის გადატვირთვა გაუმართლებელი რისკი იქნებოდა. რეზომ კი თბილისში კოჭი ამოიბრუნა და ახლაც ცოტა შესიებული აქვს. მან ლატვიასთან ფეხმტკივანმა ითამაშა. არადა, მისი დარი გამოცდილი კალათბურთელი ნაკრებში ბევრი არ გვყავს...

- 30-ქულიანი გამარჯვება მომდევნო ეტაპზე გასვლისკენ დიდი ნაბიჯია...

- მომდევნო სტადიაზე ოთხიდან სამი ნაკრები გადის. გეთანხმებით, დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ბულგარეთი-ლატვიის ხვალინდელი დაპირისპირება ბევრს მოჰფენს ნათელს. თუ ბალტიისპირელებმა ის მატჩიც ნააგეს, მაშინ ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ, ხოლო თუ მოიგეს, ქულების დათვლისას მცირე უპირატესობა მაინც ჩვენს მხარეს იქნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო ორ შეხვედრაში გამარჯვებას არ ვგეგმავთ. ტურნირი კარგად დავიწყეთ და გვინდა, ასევე გავაგრძელოთ.

- მატჩის შემდეგ რა გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი გუნდის თამაშს?

- ძალიან მესიამოვნა, როცა აქ ვლადიმერ ბოისა ვიხილე. ის დარბაზიდან ჩვენსავით გახარებული წავიდა. ლატვიისა და იტალიის ნაკრების მწვრთნელებმა ერთი შინაარსის კომპლიმენტი გვიძღვნეს - ძლიერი გუნდი გყოლიათო. დიახ, ჩვენგან ასეთ ეფექტურ გამარჯვებას არავინ ელოდა...

- იტალიასთან უფრო ხმაურიანი მოგების იმედად დაგემშვიდობებით...

- გმადლობთ. ვეცდებით, ხვალვე დადებითად გადავწყვიტოთ ჯგუფიდან გასვლის საკითხი. ისე, მასპინძელთა დამარცხება იოლი ნამდვილად არ იქნება.

ლაშა ფარღალავა

ლაშა საქართველოში სსუ-ს ღირსებას იცავდა, ხოლო ამჟამად ამერიკის კოლეჯების იუნიორთა ლიგის კლუბ "პენსაკოლას" ლიდერია...

- ლაშა, საუბარი ლატვიასთან მატჩით დავიწყოთ...

- უზომოდ გახარებული ვარ. მოედანზე მობილიზებულები გავედით და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ბედნიერი ვარ, რომ წარმატებაში წვლილი მეც მიმიძღვის.

- ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი?

- კარგი გუნდია, ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი... სათანადო, სწორი ვარჯიშების შედეგად დღითიდღე აშკარად ვუმატებთ.

- შეკრებაზე ცოტა დააგვიანე. ნაკრებთან შეწყობა ხომ არ გაგჭირვებია?

- ამ მხრივ პრობლემები არ მქონია. 21 ივნისის შემდეგ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ყველა კომბინაციის ათვისება მოვახერხე.

- ახლა დაგვიანების მიზეზზეც გვითხარი...

- ამერიკაში პირველიდან მეორე კურსზე გადასასვლელი გამოცდა მქონდა, წარმატებით ჩავაბარე და მეორე დღეს საქართველოში გამოვფრინდი.

- "პენსაკოლაში" რამდენ ხანს დარჩები?

- მეორე კურსის დასრულების მერე, ასაკის გამო, კოლეჯების იუნიორთა ლიგაში თამაშის უფლება აღარ მექნება. ამიტომ, უნივერსიტეტში გადასვლა მომინევს. ჩემთან ერთად დავით ერქვანიასაც მოუნევს ახალი გუნდის ძიება.

- შენ გუნდის ლიდერი იყავი, "პენსაკოლაში" დათოს რა ადგილი ექნება?

- შარშან, სასწავლებელი ბევრმა მოთამაშემ დატოვა და მათი წასვლის შემდეგ ხელ-ფეხი უფრო გამეხსნა. ურიგო სეზონი არ ჩამიტარებია. ერქვანიაც ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ამის დაბეჯითების თქმის უფლებას მწვრთნელის შეხედულება მაძლევს. პირველივე ვარჯიშის შემდეგ მას დათო ძალიან მოეწონა. მართალია, ახლახან, "პენსაკოლაში" კიდევ სამი ტანმაღალი კალათბურთელი ჩაირიცხა, მაგრამ მთავარი ცენტრი ერქვანია უნდა იყოს...

პრესკონფერენცია

ახლა ბაბოლატის დრო

ხვალიდან, "იან ჰომერის" კორტებზე კიდევ ერთი საჩოგბურთო ტურნირი დაიწყება: საჩოგბურთო ინვენტარის მწარმოებელი, მსოფლიოში ცნობილი ფირმის, "ბაბოლატის" ქართული წარმომადგენლობა თბილისში სახელობით შეჯიბრებას მართავს. პროფესიონალთა შორის ასაკი შეზღუდულია. მასში 18 წლამდე გოგო-ბიჭები მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა, პარალელურად, ვეტერანთა და მოყვარულთა ტურნირიც გაიმართება. ასეთი ტრადიცია უკვე დამკვიდრდა "იან ჰომერზე" და სასიამოვნოა, რომ კვლავაც გრძელდება.

ტურნირის წინ, მასმედიის წარმომადგენლები პრესკონფერენციაზე დაგვპატიჟეს. შეხვედრას კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი **დავით ლანჩავა** მასპინძლობდა. ველოდით "ბაბოლატის" წარმომადგენელსაც, მაგრამ საქმიანი ვიზიტით ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფილა და ცხადია, ვერ მობრძანდა...

ბატონმა ლანჩავამ კი მოკლედ ისაუბრა ტურნირის მნიშვნელობაზე, "ბაბოლატთან" ურთიერთობაზე და მოუწოდა ყველა მსურველს, დაესწროს ტურნირს და მონაწილეობაც მიიღოს მასში. როგორც იცით, "იან ჰომერის" კორტებზე მშვენიერი საჩოგბურთო გარემოა შექმნილი და ნებისმიერ მოქალაქეს აქტიური დასვენების კარგი შესაძლებლობა ეძლევა. ტურნირი ერთ კვირას გასტანს. გამარჯვებულები "ბაბოლატის" ფირმის პრიზებით დაჯილდოვდებიან.

ზვიად შათირიშვილი

ჩიხლაძე თბილისისთვის დაბრუნდება

დღეისთვის, სამწუხაროდ, საქართველოს ორივე წამყვანი ჩოგბურთელი ტრავმირებულია. თუკი **ირაკლი ლაბაძეს** ტურნირებში წლეულს არსად უთამაშია, ნაკრების მეორე ნომერმა **ლადო ჩიხლაძემ** სეზონი კარგად დაიწყო. მარტში მან ზედიზედ ორი შვეიცარიული ტურნირი მოიგო. 22 წლის ჩიხლაძემ ტრავმა აპრილში, დევისის თასზე საქართველოსა და სერბეთის ნაკრებთან მატჩისას მიიღო. როგორც მერე გამოჩნდა, მას კუნთი გაუწყდა, რის გამოც ლადომ აპრილში ორი მატჩი ვერ დაასრულა, შემდეგ კი თვენახევარი არსად გამოჩენილა. ივნისში მან გერმანიაში, "ფიუჩერსის" სერიის ტურნირში სცადა დაბრუნება, თუმცა პირველივე წრეში დამარცხდა იამაიკელ **ბრაუნთან** და უკვე თვე სრულდება, კვლავ არსად გამოჩენილა.

ლადო ახლა მსოფლიოს 478-ე ჩოგანია. იძულებითი უქმობა რეიტინგში ადგილს მას ყოველკვირეულად აკარგვინებს. მას გუშინ შევეხმიანეთ. ჩიხლაძე ახალი ჩასული იყო გერმანიაში:

"კუნთი მქონდა გაწყვეტილი და ამიტომაც ძალიან ბევრი გამიცდა. ვარჯიში, წესით, გუშინ უნდა გამეახლებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ეტყობა, ჯერ ისევ რაღაც პრობლემაა, კუნთი კვლავ მაწუხებს. გერმანიის ტურნირზე დევისის თასის შეხვედრისას მიღებული ტრავმა გავიმეზეზე და სერიოზული მკურნალობა დამჭირდა. ის ერთი მატჩიც, გერმანიაში, სერიოზულად არც მითამაშია. მეტოქემ კარგად იცოდა ჩემი ტრავმის ამბავი. ბოლო თვე თბილისში ვმკურნალობდი. იმედია, მალე განვაახლებ ვარჯიშებს. თბილისის ტურნირებისთვის ფორმაში უნდა ვიყო, რადგან ჩამოსვლასა და თამაშს ვაპირებ".

ივლისის ბოლოს, საქართველო მიყოლებით (23-30 ივლისი, 30 ივლისი-6 აგვისტო) ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, 15-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით. თუკი ჩიხლაძე გამოჯანმრთელებას მოასწრებს, ამ ტურნირებში გამარჯვების უმთავრესი ფავორიტი იქნება. ITF-ის ეგიდით ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოში 2004 წლის შემდეგ არ გამართულა. 2000 წლიდან 2004 წლის ჩათვლით, ტურნირები ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე იმართებოდა. წლეულს, "ფიუჩერსის" სერიის გამართვის ტრადიცია აღდგა, თუმცა, ამჯერად, შეჯიბრებებს უმასპინძლებს იან ჰომერის კორტები, სადაც "ჰარდის" საფარია

ჩახნაშვილი ფინალშია

კუნეოს საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, **მაკა ჩახნაშვილმა** (147) ბრძოლა მერვედფინალში შეწყვიტა, როცა მეშვიდე ნომრად განთესილ გერმანელ **იულია შრუფთან** დამარცხდა. თუმცა მაკა კუნეოს არ დამშვიდობებია. ის გამოჯანმრთელდა და ახლა უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** ერთად წყვილთა თანრიგში აგრძელებს ასპარეზობას. ამ დუეტმა, რომელიც მე-4 ნომრადაა განთესილი, ნახევარფინალში ბელგიელი **მაესისა** და ფრანგი **იოჰანსონის** წყვილი დაამარცხა - 7:6, 6:3. პირველ სეტში, მაკამ და მისმა პარტნიორმა ტაი-ბრეიკი 9:7 მოიგეს. ფინალში, ჩახნაშვილისა და ბეიგელციმერის მეტოქეები ბელარუსი **დარია კუსტავა** (196) და რუსი **ეკატერინა მაკაროვა** (179) იქნებიან.

იბრძოლა, მაგრამ წააგო

გუშინ, პერსპექტიული ქართველი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირს დაემშვიდობა. 16 წლის კალაშნიკოვა თანატოლ პოლონელთან, **ურსულა რადვანსკასთან** დამარცხდა. რადვანსკა მე-6 ნომრად იყო განთესილი. 18-წლამდელთა მსოფლიო რეიტინგში ის მერვე ჩოგანია, ხოლო კალაშნიკოვა 21-ე. გოგონები მეათე კორტზე გავიდნენ. ორივე ჩოგბურთელი უიმბლდონზე მომავლის ვარსკვლავად მიიჩნიეს, ამიტომ, მათ ორთაბრძოლას სპეციალისტები დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ. თავიდან, ოქსანასთვის ყველაფერი კარგად დაიწყო: 2:2-ზე მან რადვანსკას აუღელვებლად აართვა მოწოდება, თუმცა იქვე საკუთარი დაკარგა. 4:4-ზე ანალოგიური გამეორდა: კალაშნიკოვამ კვლავ მოიგო პოლონელის მოწოდება და იმის მაგივრად, რომ სეტი მშვიდად მიეყვანა ბოლომდე, გადამწყვეტი გეიმი საკუთარ მოწოდებაზე წააგო და მერე კიდევ ორიც მიაყოლა - 5:7.

მეორე სეტში, 1:1-ზე, რადვანსკამ კიდევ ერთხელ შეძლო ქართველი ჩოგბურთელის მოწოდების მოგება. იქვე, ქართველს ანგარიშის გათანაბრების შესანიშნავი შანსი მიეცა: მეტოქის მოწოდებაზე 40:0-ს იგებდა, მაგრამ... გატყდა, ეს გეიმიც დათმო და თამაშიც მალევე დასრულდა - 5:7, 1:6. მატჩი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამჯერად, ოქსანამ მხოლოდ ერთი "ეისი" ჩააგდო, რადვანსკას ანგარიშზე კი 3 "ეისია". კალაშნიკოვამ ძალიან ბევრი (23, რადვანსკას 4 შეცდომის წინააღდეგ) უნებლიე შეცდომა დაუშვა, ბადესთანაც ჩვეულად მხნედ ვერ გადიოდა (ბადესთან გასვლა 9-დან მხოლოდ 5 შემთხვევაში გამოდგა წარმატებული).

ასეა თუ ისე, ურსულა რადვანსკა მეოთხედფინალში გავიდა და იქ ტურნირის პირველ ჩოგანს, რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვას** შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კოკაი კორეელით იწყებს

სუმო. ხვალ, იაპონიის ქალაქ ნაგოიაში პროფესიონალ სუმოისტთა წლის მეოთხე სუპერტურნირი იწყება. ნაგოიას ბაშოზე ქართველი **ლევან ცაგურია (კოკაი)** უჩვეულოდ დაბალი რანგით ნარდგება: წინა ტურნირში ცუდმა ასპარეზობამ (კოკაიმ ბაშო 3-12 ბალანსით დაასრულა) ის დასავლეთის მეცხრე მაეგაშირობამდე ჩამოაქვეითა. გუშინ გაირკვა ბაშოს პირველი ორი დღის კალენდარი. გახსნის დღეს კოკაი მეათე მაეგაშირა **კასუგაოს** ხვდება. კორეელთან ურთიერთშეხვედრებში კოკაის ნულოვანი ბალანსი აქვს: 2-2. მეორე დღეს ის კიდევ ერთ მეათე მაეგაშირას, **ჰოკუტორიკის** ხვდება. მასთან ურთიერთშეხვედრებში კოკაის უარყოფითი ბალანსი აქვს: 2-3. რანგით მესამე დივიზიონ მაკუშიტაში იჭიდავებენ **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** და **თეიმურაზ ჯუელი (გაგამარუ)**. ტოჩინოშინი რეიტინგით მე-18 ადგილზეა, გაგამარუ 39-ეზე. შეგახსენებთ, რომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ტურნირს ერთბაშად ორი იოკოძუნა (დიდი ჩემპიონი) დაიწყებს: **ასაშორიუ** და მისი მონღოლი თანამემამულე **ჰაკუჰო**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ᲭᲔᲓᲠᲘᲢᲘ

ქართველები ფილადელფიაში

ᲪᲝᲢᲐᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ სახელი კი ჰქვია გუშინწინ, ფილადელფიაში დასრულებულ საჭადრაკო ტურნირს, მაგრამ ჩვენ ვინ რას გვკითხავს? მსოფლიოს ლია ჩემპიონატი - ასე იწოდება ტურნირი და უცნაურობა სახელში კი არა, ამბიციაშია, რადგან ეს ტურნირი მსოფლიო დონის სულაც არ გახლდათ. ცხადია, ყველა შეჯიბრების პრესტიჟულობას მონაწილეთა ოსტატობა და საპრიზო ფონდი განსაზღვრავს. ამ ბოლო კრიტერიუმით თუ ვიხელმძღვანელებთ, შესაძლოა, მართლაც გაუთანაბრდეს მსოფლიოში უპირველეს შეჯიბრებებს, მაგრამ მონაწილეთა ოსტატობა აშკარად უკეთესის სურვილს ტოვება. სტუმართა მოსაზიდად, ფილადელფიელებმა საპრიზო ფონდი 400 000 დოლარით განსაზღვრეს, თუმცა ეს თანხა ერთ ტურნირზე არ გადანაწილებულა. მთავარი ტურნირის გარდა, შეჯიბრება სხვადასხვა ასაკში და კატეგორიებშიც ჩატარდა და, რა თქმა უნდა, თანხის ნაწილმაც იქეთკენ გადაინაცვლა.

მიუხედავად ამისა, მთავარი ტურნირის საპრიზო ფონდი მაინც შთამბეჭდავია: გამარჯვებული 30 000 დოლარს იღებს, მეორეზე გასული 15 000-ს, მესამეადგილოსან 7 000 ერგება, მეოთხეს 3 000, მეხუთეს 2 500, მეექვსეს 2 000, მეშვიდეს 1 500, მერვეს 1 000, მეცხრეს 800, მეათეს 700, ხოლო მეთერთმეტედან მეოცეს ჩათვლით 600 დოლარი იყო გათვალისწინებული...

ამ ტურნირის მიმართ ჩვენი ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ მასში ორი ქართველი მონაწილეობდა: **მერაბ გაგუნაშვილი** და **ქეთევან არახამია-გრანტი**. გაგუნაშვილი ორი თვეა ამერიკაშია და რამდენიმე ტურნირშიც ითამაშა, თან წარმატებითაც, ამიტომ, მისგან ამჯერადაც მაღალ შედეგს ველოდით. ამერიკაში ქეთევანის თამაში კი სასიამოვნო მოულოდნელობაა. მან მშვენივრად ითამაშა: კაცებს შორის 9 შესაძლებლიდან 5 ქულა მოაგროვა და 33-ე ადგილზე გავიდა, ქალებში კი ყველას აჯობა. სამწუხაროდ, ცუდად ითამაშა გაგუნაშვილმა: საწყის ტურებში საკუთარი თამაში ვერ იპოვა და ტურნირს შუაწელიდან გამოეთიშა. შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა, თორემ მერაბს ტურნირის მიტოვება არ სჩვევია...

რაც შეეხება გამარჯვებულს, ყველას სომხური წარმოშობის ამერიკელმა **ვარუჟან აკობიანმა** აჯობა. ვარუჟანი შარშანდელ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრებში მეოთხე დაფაზე თამაშობდა. აქედან გამომდინარე, მისი ოსტატობა დასაწუნი არ არის, თუმც მსოფლიო ელიტას ნამდვილად არ განეკუთვნება. პირველობამდე, ვარუჟანს ტაი-ბრეიკების გავლა მოუწია, ფინალში კი **ალექსანდრ სტრიფუნსკი** დაამარცხა. 9 ტურის შემდეგ 9 მონაწილემ 6.5 ქულა მოაგროვა, რამაც მათ შორის ტაი-ბრეიკების საჭიროება მოითხოვა.

ქეთევან არახამია-გრანტი

ამერიკაში კიდევ ერთი ქართველი მოჭადრაკეა - **ზვიად იზორია**, თუმცა მას ამჯერად არ უთამაშია. სხვათა შორის, ამ ქვეყანაში საჭადრაკო ტურნირთა სიმცირე არ იგრძნობა და საპრიზო ფონდიც ნორმალური აქვთ, რაც ბევრ დიდოსტატს იზიდავს. ერთია მხოლოდ - ჩვენთვის უცნობია, დარჩებიან თუ არა ქართველები ამერიკაში და კიდევ რომელ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

ზვიად ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲔᲭᲒᲣᲠᲗᲘ

მსოფლიო ტური

ნაგების უფლება აღარ გვაქვს

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲨᲘ, მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის პირველ შეხვედრაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ, ქალ პლაუბურთელთა ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** მეორე მატჩი ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილ ბერძნებთან, **კარადასიოუსთან** და **ამანატიდისთან** 0:2 (12:21,18:21) წააგო. აღსანიშნავია, რომ ბერძენთა ეს დუეტი გაქართველებული ბრაზილიელებისთვის ზედიზედ მესამედ გახდა გადაულახავი ბარიერი.

საბედნიეროდ, შემდეგი შეხვედრა საქა-რთველომ უფრო მეტი ყურადღებით წარმართა და ფრანგები, **გიაუ** და **ამაზო**, ორ სეტში 21:19, 21:19 დაამარცხა. შედეგად, ჩვენი ფრენბურთელები ასპარეზობას აგრძელებენ და მორიგ შეხვედრას შვეიცარიელების, **კუნისა** და **შვეერის** წინააღმდეგ გამართავენ. საქა-რთველოს ნაგების უფლება აღარ აქვს.

სამწუხაროდ, ტურნირს გამოეთიშნენ ჩვენი ვაჟები. **გეორ-გიამ**, პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ, მეორეში მასპინძლები - **ვან ჰუიზენი** და **დელანი** 2:0 (21:16, 21:16) დაამარცხა. თუმცა მერე, თავდადებული ბრძოლის მიუხედავად, გერმანელებთან, **რეკერმანსა** და **ურბაციკისთან**, ვერას გახდა. პირველ სეტში რეკორდული ანგარიში დაფიქსირდა. გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება დიდხანს ვერავინ შეძლო, თუმცა ბოლოს მაინც ჩვენი ფრენბურთელები გატყდნენ. სეტი გერმანელთა სასარგებლოდ, 36:34 დასრულდა. მეორეში გეორ-გიას დაღლა დაეტყო და მონინააღმდეგემ გამარჯვება შედარებით იოლად მოიპოვა.

ამრიგად, გეორ-გიამ მონრეალში XVII-XXV ადგილები გაიყო, რეიტინგში 120 ქულა მოაგროვა, ხოლო პრემიის სახით 3 000 ამერიკული დოლარი მიითვალა.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲛᲐᲚᲢᲐᲨᲘ გუშინ დაწყებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპირველობაში წარმატებით ჩაებნენ ქართველი მოჭიდავეები. გუშინ ჩვენმა ბიჭებმა სამ წონით კატეგორიაში ასპარეზეს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვერცხლი **ზვიად კაპანაძემ** (60) მოიგო, ბრინჯაო **ოთარ კაიდარაშვილმა** (50).

როცა კაპანაძე ფინალში იბრძოდა, იმ დროს ანგარიშზე კაიდარაშვილის მედალი უკვე გვერიცხებოდა. ამდენად, ფინალში ზვიადი არა მარტო პირადი, არამედ გუნდური შედეგის გასაუმჯობესებლადაც იბრძოდა. ბევრს კი ეცადა მაქსიმუმის მიღწევა, საჭიდაოდაც დიდი მუშტთაქნევით გავიდა, მაგრამ აზერბაიჯანელმა **სარხან ახმადოვმა** აშკარად აჯობა. სხვა საქმეა, ახმადოვი თუ აშკარად უფროსი ჩანდა მართლაც უმრწემეს ქართველზე, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ...

კაპანაძეც, როგორც მისი თანაგუნდელების უმეტესობა, გუნდში პირველ სეზონს ატარებს და მალტაში დებიუტანტის რანგში ჩავიდა, თუმცა ოთხი მოგებული შეხვედრიდან სამში წმინდად იმარჯვა. მან ჩემპიონატიც სუფთა

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ

პირველ დღეს ორი მედალი კარგია

მოგებით დაიწყო გერმანელ **მარკო მუნსტენბერგთან**. აი, მეორეში კი ფრიად გაუჭირდა უკრაინელ **ოლეგ გლუშენკოსთან**. ამ შეხვედრის ბედი კაპანაძის მიერ მოპოვებულმა ერთადერთმა კოკამ გადაწყვიტა (მანამ მეტოქეებმა თითო გაფრთხილებაც მიიღეს). არადა, უკრაინელმა მერე ვერც სანუგეშოში გამოიჩინა თავი. სამაგიეროდ, კაპანაძემ მომდევნო ორი შეხვედრა მაქსიმალურად მობილიზებულმა ჩაატარა და ორივე წმინდად მოიგო - ხორვატ **დუშკო პატკოვიჩსა** და ფრანგ **იან-კრისტოფ ლამთან**. როგორც გითხარით, ახმადოვთან ფინალში ლამის უშანსოდ დამარცხდა.

ერთი წრით ადრე, ნახევარფინალში დამარცხდა კაიდარაშვილიც და ისიც აზერბაიჯანელ **ვუგარ შირინლისთან**. კაიდარაშვილი იქამდე საკმაოდ დამაჯერებლად მივიდა, შეხვედრების უმეტესობა სუფთად, ან დიდი უპირატესობით მოიგო. ჩვენებურმა პირველ წრეში პორტუგალიელი **ჟოაო კასტრო** დააიპონა და მეორეშიც ასევე გაუსწორდა ესპანელ **ლოკინ საგარსასუს**, ოღონდ ბიჭებზე დაგდებამდე ვაზარიც აართვა. მეოთხედფინალში გერმანელ **დან-პაულ კილთან** მთლად ასე ვერ გაილაღა, მაგრამ ორ-ორი კოკა-იუკო მასაც დასცინცლა და ნახევარფინალში გავიდა. მისი შეჩერება მხოლოდ იქ მოახერხა შირინლიმ. სამწუხაროდ, კაიდარაშვილმა მასთან პირწმინდად წააგო და სანუგეშოს ფინალში გადავიდა, სადაც ბრინჯაოსთვის უმძიმესი ბრძოლა გადაიხადა თურქ **ჰამზა აქაისთან**. საბედნიეროდ, გაფრთხილების დამსახურებით, გამარჯვება და ჯილდო კაიდარაშვილს დარჩა.

გუშინ ჩვენგან უმედლოდ **ჯონდო მარიდაშვილი** (55) დარჩა. ის პირველივე წრეში წმინდად დამარცხდა ესპანელ **კარლოს ბენიტო როხერთან** და მერე ვერც სანუგეშოში გადაერთო, რაკი პირენეელიც მალევე დამარცხდა.

ვფიქრობთ, ჩვენი გუნდისთვის ეს ორი მედალი მაინც კარგი შედეგია, რადგან კუნძულზე მთლიანად გადახალისებული გუნდი გაემგზავრა. შარშანდელი შემადგენლობიდან მასში მხოლოდ **ზებედა რეხვიაშვილია** (66), რომელიც **გიორგი მერმანიშვილთან** (73) ერთად დღეს იჭიდავებს. თან, ამას ისიც დაერთო, რომ წინა კვირაში მთავარ მწვრთნელ **ჯემალ ნათელაშვილს** აპენდიციტის ოპერაცია გაუკეთეს და გუნდი მალტაზე **გურამ მოდებაძემ** წაიყვანა. ამას მეტოქეთა საეჭვო ასაკიც ემატება... როგორც გითხარით, კაპანაძის მძლეველი ახმადოვი აშკარად უფროსი ჩანდა. მაგრამ ჩვენი ბიჭების სუფთა ასაკი მაინც ყოველმხრივ მისასალმებელია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ორი ჩემპიონი დიდი ჩხუბის ფასად

ცეკა-ტყეპა ფინალის დროს

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲐᲓ დასრულდა მოსკოვში რუსეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველობა. ეს ამბავი ჩვენთვის იმდენადაა საყურადღებო, რომ მოვლენათა ეპიცენტრში რუსთა ქართველი ევროჩემპიონი **გიორგი კეტოევი** (იგივე ქეთოშვილი, 84 კგ) აღმოჩნდა. მისი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **საჯიდ საჯიდოვის** ფინალური შეხვედრა მასობრივი არეულობითა და სპეცრაზმის ჩარევით დასრულდა. ჩვეულებრივი საჭიდაო ეპიზოდი ლამის ლეკურ-ოსურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მით უფრო, საქმის საამისოდ შეტრიალებას ბარაქიანი წინაისტორიაც უძღოდა წინ - ეს ჩემპიონატი ვლადიკავკაზში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მოსკოვში გადაიტანეს, რაც ოსებმა მტკივნეულად აღიქვეს. იქაურები ჯერ კიდევ ამაში ხედავდნენ პოლიტიკის გავლენას და თავიანთ მფარველ რუსებსაც შემოსწყრნენ, გაგვწიესო. ჩანს, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ქართული ფესვების მქონე **მიხეილ მამიაშვილი** მართლაც დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა, რაკი ჩემპიონატის გადატანას დათანხმდა. არადა, რუსეთის ნაკრების თავკაცი **ჯამბულათ თედეევი** ოსი და როცა მანაც ვერ დაიცვა თანამემამულეთა ინტერესები, აქ უკვე... ისე, ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისთვის ჭიდაობა სპორტზე მეტია და ასეთი ზეწოლა არცაა გასაკვირი. თანაც, რუსეთის ჩემპიონატი მსოფლიოსთვის შესარჩევია და ბუნებრივია, დაღესტნელებს ვლადიკავკაზში ჩასვლას ათასწილად ერჩივნათ ნეიტრალურში ჭიდაობა...

...მაგრამ კეტოევმა მერვედფინალშიც იჩხუბა და ისევ დაღესტნელ **ზაურ აბდულმუსლიმოვთან**, თუმცა რუსული მედია არც ერთ ჩხუბში მას არ ადანაშაულებს. მათი მონათხრობით, აბდულმუსლიმოვმა, რაკი ჭიდაობაში ვერაფერი დააკლო, მუშტებით სცადა სიძლიერის დამტკიცება, თუმცა საპასუხოდ მეტი მიიღო და ყოველმხრივ ნაგებულმა დატოვა ხალიჩა. სხვათა შორის, მამიაშვილმა ამ ინციდენტის შემდეგვე იხმო დაღესტნისა და ოსეთის ნაკრებების თავკაცები, **მაგომედ ჰუსეინოვი** და **მალიკომ თედეევი** და მკაცრადაც გააფრთხილა, ასეთი უმსგავსობები აღეკვეთეთო...

მაგრამ შეგონებამ არ გაჭრა და ფინალში უარესი ამბები დატრიალდა. მონსტერი დამატებით დროში აირია, თუმცა მოვლენები მანამდეც საინტერესოდ განვითარდა. პირველი პერიოდი კეტოევმა დამაჯერებლად მოიგო. მეორეში მაქსიმალურად ფრთხილად მოჭიდავე მეტოქეებმა ქულა ვერ გააკეთეს და მონეტა ავარდა. ის საჯიდოვს დაუჯდა, რომელმაც შანსიც გამოიყენა და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მისი პირადი მწვრთნელი **მაირბეკ იუსუპოვი** და ჰუსეინოვი უკვე ეკამათებოდნენ მსაჯებს. არბიტრებისადმი პრეტენზიებს კეტოევის მწვრთნელიც გამოთქვამდა, მაგრამ მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადგილიდან. დაღესტნელთა კამთმა მაშინვე მაყურებელთა აგრესია გამოიწვია და რამდენიმემ ხალიჩაზეც სცადა შეჭრა, მაგრამ სპერაზმმა ეს იოლად აღკვეთა. სამაგიეროდ, ისინი აბსოლუტურად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ იმ მასობრივი არეულობისთვის, რომელიც დამატებით პერიოდში მოხდა.

ეს პერიოდიც უქულოდ დამთავრდა და ისევ მონეტა ავარდა. ის ამჯერად კეტოევს დაუჯდა, მაგრამ გდება ვერაფრით გააკეთა. მეტოქეები ასე ძიძგილაობდნენ, ვიდრე ორივე ხალიჩის გარეთ არ დავარდა. მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ პირველი საჯიდოვი დაეცა და გამარჯვების მომტანი ქულა კეტოევს მისცეს. აი, მაშინ კი, იხუვლეს დაღესტნელებმა და ერთად შევარდნენ ხალიჩაზე. ვიდრე დაცვა გონს მოეგებოდა და ძალებს მოიკრებდა, ქომაგებმა დაამტვრიეს ვიდეოკამერები და დალენეს ავეჯი. აღსანიშნავია, რომ მათ დამშვიდებას თავად საჯიდოვიც ცდილობდა, მაგრამ ამაოდ... საბოლოოდ, ინციდენტი ჩააცხრეს, მაგრამ მსაჯებმა თავდაპირველი გადაწყვეტილება არ შეცვალეს და კეტოევი ჩემპიონად გამოაცხადეს. თუმცა ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა და გუშინ... ორივე ჩემპიონად გამოაცხადეს. ჩანს, დაღესტნელებმა ისევ იმძლავრეს და მამიაშვილის სამწყსო კომიკურ სიტუაციაში ჩააგდეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საკითხავია, ამ წონაში მსოფლიოზე წასაყვან ფალავანს როგორღა შეარჩევენ? ცხადია, იქ ორივეს ვერ წაიყვანენ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ფრანგების დღე

უიმბლდონის გუშინდელმა დღემ წვიმის გარეშე ჩაიარა. ქალთა ბადეში ორივე ფინალისტის ვინაობა გაირკვა, კაცებმა კი ნახევარფინალის ოთხივე საგზური დაინაწილეს. ორივე ბადეს თითო სერიოზული დანაკლისი აქვს - ქალთა ფინალი მათი პირველი ჩოგნის, ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** გარეშე ჩაივლის, კაცების ნახევარფინალში კი ვერ ითამაშებს ამჟამად ყველაზე ძლიერი მოწოდების მქონე ამერიკელი **ენდი როდიკი**. რაც არანაკლებ საინტერესოა, ორივე მოულოდნელობა ფრანგმა ჩოგბურთელებმა შემოგვთავაზეს.

ყველაზე დიდი სენსაცია ფრანგი **მარიონ ბარტოლის** მიერ ანენის დამარცხება იყო. რომ იტყვიან, მან ცხოვრების საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და თუ ამას ფინალში, ამერიკელ **ვენუს უილიამსთან** შეხვედრაში შეძლებს, მაშინ ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის გვირგვინსაც მოირგებს.

ბარტოლი კარიერაში პირველად ითამაშებს დიდი სლემის ტურნირის ფინალში. სამაგიეროდ, ბოლო ორ სეზონში, ჟუსტინი ამავე კატეგორიის ტურნირს ასე ადრე პირველად გამოეთიშა. ბარტოლის მიერ ჟუსტინის დამარცხება დაახლოებით იმავე დონის მოვლენაა, როგორიც 1999 წლის უიმბლდონზე სერბმა **ელენა დოკიჩმა** შემოგვთავაზა, როცა ტურნირის პირველივე წრეში დაამარცხა **მარტინა ჰინგისი**.

როცა უიმბლდონის კენჭისყრა ჩატარდა, ბევრმა სპეციალისტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბელგიელი მეჩოგნისთვის ფინალისკენ გზა ხსნილი იყო. ერთადერთი რეალური მეტოქე მისთვის **სერენა უილიამსი** უნდა ყოფილიყო, რომელიც ბოლო ხანებში არასტაბილურობით (სხვადასხვა მიზეზის გამო) გამოირჩევა. ბარტოლის კი აქამდე "ოლ ინგლენდ ქლაბის" კორტებზე ოდენ ოთხი თამაში ჰქონდა მოგებული. მათი შეხვედრაც ისე დაინყო, როგორც მოსალოდნელი იყო - ჟუსტინმა, ვისაც საკარიერო მონაგარში, დიდი სლემის ტურნირებიდან ერთადერთის, უიმბლდონის ტიტული აკლია, ბარტოლის ერთადერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა.

სნორედ ასეთმა უიმედო დასაწყისმა გამოაცოცხლა ფრანგი. ის უფრო თავისუფლად ათამაშდა და მალე შედეგიც შესაბამისი მოიმკა - ოთხი გეიმის შემდეგ, 3:1 დანინაურდა. ჟუსტინმა ბრეიკი სწრაფად დაიბრუნა და თითქოს, თამაშის სადავეებიც ხელში უნდა აეღო. თითქოს, ასეც მოხდა, მეშვიდე გეიმში ბელგიელმა კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და 4:3 დანინაურდა.

ფრანგის ადგილზე, ამ მომენტში ბევრი ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ბარტოლი არ გატყდა, მერვე გეიმში მეტოქეს ბრეიკითვე უპასუხა და თამაშის გადარჩენის მიზერული იმედიც გაუჩნდა. 5:5-ზე ბელგიელმა ორი ბრეიკ პოინტი გაანიავა, რისთვისაც მომდევნო გეიმში იწვნია საზღაური - ფრანგმა მისი მოწოდება აიღო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი კი პირველის რევერსი იყო. ბარტოლიმ ჟუსტინს ხელის განძრევის საშუალება არ მისცა. ხუთი გეიმის შემდეგ ის 5:0-ს იგებდა. მხოლოდ ამის შემდეგღა შეძლო გაოგნებულმა ჟუსტინმა ერთი გეიმის მოგება. მერე კი ფრანგმა პირველივე მატჩ პოინტი გამარჯვებად აქცია.

"არც ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი გრძნობები. მე დღეს ოცნება ავისრულე. ცენტრალურ კორტზე პირველად ვითამაშე და ამის გამო, პირველ სეტში ძალიან ვნერვიულობდი. მაგრამ მერე ნერვები დავიმშვიდე, ისიც დავივიწყე, თუ ვის ვეთამაშებოდი. ერთადერთი, რასაც ვხედავდი, ბურთი იყო. ჰოდა, თამაშიც თავისთავად ამეწყო", - განაცხადა ბარტოლიმ, ვისაც კარიერაში ვტა-ს სულ სამი ტურნირი აქვს მოგებული.

რაც შეეხება ვენუსს, მას არ გასჭირვებია სერბი **ანა ივანოვიჩის** დამარცხება. 1975 წლის შემდეგ, ის ყველაზე დაბალი სარეიტინგო პოზიციის მქონე ჩოგბურთელია, ვინც უიმბლდონის ქალთა ფინალში გასვლა შეძლო.

როდიკმა კი ლამის მოგებული თამაში წააგო. ყოველ შემთხვევაში, პირველი ორი სეტი თითო ბრეიკით მოიგო და მომდევნო ორშიც მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ტაიბრეიკზე საკმაოდ იოლად დათმო. არადა, მის წინაშე იდგა ჩოგბურთელი, რომელიც მანამდე დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალის იქით არასოდეს გასულა.

ჩემთვის და ფრანგული ჩოგბურთისთვის ეს განსაკუთრებული დღეაო, - განაცხადა ნამატჩევს გასკემ, ვინც ნახევარფინალში ფედერერს შეხვდება, ვინც ესპანელ **ხუან კარლოს ფერეროსთან** ძნელი გამარჯვება მოიპოვა.

ძნელი იმიტომ, რომ ერთი სეტი დათმო, პირველი კი გაჭირვებით მოიგო. მათი შეხვედრა ორი დღის წინ დაიწყო, მაგრამ ამინდის ჭირვეულობის გამო, გუშინ დასრულდა. თავიდან ფედერერი 4:1 დანინაურდა, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა და ფერეროს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. ანგარიში 5:5 (40:40) იყო, როცა წვიმა წამოვიდა და

მარიონ ბარტოლი

იქნებ, შვეიცარიელსაც ყველაფრის გააზრების საშუალება მიეცა. თუმცა, იოლი გამარვჯება მაინც ვერ მოიპოვა. პირველი სეტის მოსაგებად ტაიბრეიკი დასჭირდა, მეორე კი საერთოდაც ჩააფლავა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე სეტი დათმო, ფედერერი მისთვის ჩვეულ სტილში ათამაშდა და საკმაოდ იოლად მოიგო მომდევნო ორი სეტი.

რაფაელ ნადალმა სამ სეტში დაამარცხა ჩეხი **ტომაშ ბერდიჩი**. ნახევარფინალში ის სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** დაუპირისპირდება, რომელიც საფრანგეთის ღიას ნახევარფინალში ჰყავს დამარცხებული. ჯოკოვიჩმა ხუთ სეტში დაამარცხდა კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**.

აღსანიშნავია, რომ ჯოკოვიჩი ახლავე იმსახურებს სპეციალურ პრიზს ყველაზე ხანგრძლივი თამაშისთვის. ბაღდატისთან მოსაგებად მას თითქმის ხუთი საათი დასჭირდა. სულ კი მიმდინარე ტურნირზე კორტზე 17 საათი გაატარა და რვა სეტი (მათ შორის ორი კვიპროსელთან) ტაიბრეიკზე მოიგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

კაცები

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 20) 7:6(2), 3:6, 6:1, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 7) 7:6(1), 6:4, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ენდი როდიკი (აშშ, 3) 4:6, 4:6, 7:6(2), 7:6(3), 8:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10) 7:6(4), 7:6(9), 6:7(3), 4:6, 7:5

ნახევარფინალი

მარიონ ბარტოლი (საფ, 18)-ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1) 1:6, 7:5, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 6) 6:2, 6:4

ქალთაბურთი

სიეტლმა დიურანი და გრინი გაიფორმა

"სიეტლ სუპერსონიქსმა" დრაფტზე აყვანილ ორ მოთამაშეს, მეორე ნომერ **კევინ დიურანსა** და მეხუთე ნომერ **ჯეფ გრინს** ხელშეკრულება გაუფორმა.

დრაფტზე 18 წლის დიურანი, **გრეგ ოდენის** მერე, ყველაზე სასურველ სტუდენტად ითვლებოდა. იგი პირველ სეზონში 3.4-ს, ხოლო მეორეში კი 3.7 მილიონ დოლარს მიიღებს.

რაც შეეხება გრინს, რომელიც "სიეტლში" **რეი ალენის** ტრეიდით აღმოჩნდა, პირველ სეზონში პირად საბანკო ანგარიშს 2.5 მილიონინთ შეივსებს, ერთი წლის მერე კი გუნდისგან კიდევ 2.7-ს მიიღებს.

ორივე მოთამაშე ამჯერად გუნდთან ერთად ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზეა, სადაც "სონიქსი" პირველ მატჩში "დალას მავერიქსს" დაუპირისპირდება.

პოლო

პაშეკი დეტროიტში დარჩა

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ლეგენდარული ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, 42 წლის "დომინატორი" "დეტროიტ რედ უინგ ზისგან" 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ჩეხი ჰოკეისტის თქმით, მომავალი სეზონი უკანასკნელი იქნება მის კარიერაში.

NHL-ის ექვსგზის საუკეთესო მეკარემ შარშანდელ რეგულარულში 55 მატჩი (38 მოგება) ჩაატარა, საშუალოდ 2.05 შაიბას უშვებდა და დარტყმების 91.3 პროცენტს იგერიებდა. ჰაშეკმა 8 შათაუტის შესრულება შეძლო.

ალენდერსი ძლიერდება

მომავალი სეზონისთვის სერიოზულად აძლიერებს შემადგენლობას "ნიუ იორკ აილენდერსი". შეგახსენებთ, რომ ამ გუნდმა სატრანსფერო ბაზრის გახსნის პირველივე დღეს, "ტორონტო მეიპლ ლიფზიდან" 33 წლის ფორვარდი **ჯეისონ ბლეიკი** დაიმატა.

გუშინ კი, "კუნძულელებმა" ორი ახალი შენაძენი წარადგინეს. თავისუფალი აგენტების სტატუსით ამ გუნდს შეუერთდნენ **ბილ გერინი** და **მაიკ კომრი**.

36 წლის გერინი გასულ წელს ორ კლუბში - "სან ხოსესა" და "სენტ ლუისში" თამაშობდა და 77 მატჩში 56 ქულა (36 გოლი+20 პასი) დააგროვა. შარშან ასევე ორ გუნდში მოუნია თამაში კომრისაც ("ფინიქსი", "ოტავა"). ამ ფორვარდმა 65 მატჩში 45 ქულა (20+25) მიითვალა. გარდა ამისა, "ოტავასთან" ერთად სტენლის თასის ფინალურ სერიაშიც მიიღო მონაწილეობა.

გერინმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, კომრის ხელშეკრულება კი, ერთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ბაფალოს ახალი მეკარე ჰყავს

ცნობილმა მეკარემ **ჯოსელინ ტიბომ** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ბაფალო სეიბრზთან".

32 წლის გოლკიპერმა ბოლო ორი სეზონი "პიტსბურგ პინგვინზში" გაატარა. შარშან მან 22 მატჩში დაიცვა "პინგვინების" ღირსება და საშუალოდ შეხვედრაში 2.83 შაიბას უშვებდა.

ოლიმპიზმი

რომმა ბაქტრია შეცვალა

2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე სოჭის გამარჯვებამ იტალიის დედაქალაქ რომს ტაქტიკა შეაცვლევინა. იტალიელებმა გადაწყვიტეს, გამოიტანონ 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე შეტანილი განაცხადი და ბრძოლა 2020 წლის ოლიმპიადისთვის დაიწყონ.

საქმე ისაა, რომ 2012 წლის ზაფხულის თამაშებს ლონდონი უმასპინძლებს, ორი წლის შემდეგ, ზამთრის ოლიმპიადა სოჭში გაიმართება. იტალიელებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ზედიზედ მესამე ოლიმპიადას ევროპაში არ ჩაატარებს. სნორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელეს იტალიელებმა.

TV სპორტი

7 ივლისი, შაბათი

იმედი

02:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. ვენესუელა-ურუგვაი (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. ჩილე-ბრაზილია (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეფურნალი.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
17:35 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. დინამო-ინტერი.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი.
23:25 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. სოსიედადი-გალათასარაი.

SPORT 1 (უკრაინა)

06:25 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
08:10 ექსტრემალური სპორტი.
08:40 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დალასი-ვანკუვერი.
10:25 პლაჟის ფეხბურთი.
11:40 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-დინამო.
13:25 სპორტის სამყარო.
13:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:20 სპორტკლუბი.
14:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ავსტრალია.
17:05 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:35 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
19:15 პლაჟის ფეხბურთი.
20:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.
22:00 კრივი. რინგ-საიდი.
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ფლუმინენსე (LIVE).
01:00 სპორტის სამყარო.
01:25 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
01:55 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-დინამო.
03:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ავსტრალია.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
12:00 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
13:45 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
15:15 ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი. ბელგია (LIVE).
17:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. პროლოგი (LIVE).
21:30 მულტისპორტი.
22:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
23:00 კრივი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კანადა (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
16:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი (LIVE).
18:00 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.
19:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
20:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტუ. პორტუგალია.
20:45 მულტისპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიოს თასი. ლატვია.
23:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი (LIVE).
01:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. კანადა (LIVE).
03:00 ახალი ამბები.
04:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი (LIVE).

8 ივლისი, კვირა

იმედი

00:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. მექსიკა-პარაგვაი (LIVE).
02:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. არგენტინა-პერუ (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. ვენესუელა-ურუგვაი.
14:05 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. ჩილე-ბრაზილია.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 სასტვენი.
16:35 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ბაიერნ ანდერლეხტი.
18:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა. *
18:40 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
20:30 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ლოკომოტივი-მონაკო.
22:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
00:00 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. მექსიკა-პარაგვაი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

06:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.
08:20 პლაჟის ფეხბურთი.
09:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
11:05 ნყალბურთი.
11:15 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კატანია.
13:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ფლუმინენსე.
14:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ აფრიკა.
17:20 მძლეოსნობა.
17:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
19:30 პლაჟის ფეხბურთი.
20:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა.
22:15 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ვიზიარეალი.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
00:30 სპორტკლუბი.
00:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ფლუმინენსე.

EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. კანადა.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
13:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი (LIVE).
19:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. პორტუ. პორტუგალია.
19:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
20:15 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
22:00 სუმო.
23:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. კანადა (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეფურნალი.
01:30 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ჰაიე (ინგლისი)-ტ. ბონინი (პოლონეთი). ლონდონი. ბრატინეთი.
03:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. კანადა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-იაპონია. იტალია.
16:30 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
17:30 არმრესტლინგი.
18:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (LIVE).
19:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
20:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
20:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ტორონტო. კანადა (LIVE).
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
00:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. კანადა (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პორტუ. პორტუგალია.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ბზ. კიკერსი-ბუნი	1:3
ბრიუგე-ოსტენდე	3:0

ჩოგბურთი

II დივიზიონი

სირიუსი-იოტბორიენი	2:1

ირლანდია

ლერი-სლიგო	4:1
ლონგფორდი-შელბორნი	0:3
ლუსლეი-ლიმეიერ	0:1
უოტერფორდი-ბ. პაზი	2:1

ტურ დე ფრანსი

ჩემპიონის გარეშე

დღეს ლონდონში სტარტს აიღებს საგზაო ველოსპორტის ყველაზე პოპულარული ასპარეზობა - მრავალდღიანი ველომარათონი ტურ დე ფრანსი. წინა წლებისგან განსხვავებით, საფრანგეთის გზებზე არ იასპარეზებს წინა რბოლის ჩემპიონი. ამასთან, რბოლის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ამჯერად მაინც გადაურჩებიან სერიოზულ დოპინგსკანდალს. წლევანდელი ფრანგული ტურისთვის ლირსშესანიშნავი ფაქტი კი ისაა, რომ რბოლა სტარტს ქვეყნის გარეთ, ლონდონში აიღებს.

"ძალიან მინდა, რომ ველომრბოლი, რომელიც შონს ელისუზე გამარჯვების ნიშნად ხელებს ზეაღმართავს და შამპანურს მიირთმევს, ნამდვილი გამარჯვებული გახდეს და არა ისეთი, რომელსაც მომავალში დოპინგის გამო ტიტულს ჩამოართმევენ", - ოცნებობს ტურის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი**.

მისი ოცნება გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ შარშანდელ ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ ლენდისს** დოპინგ-კონტროლმა სინჯში მამაკაცის ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა დაუდგინა. ლენდისი კი ირწმუნება, მართალი ვარ და ყველაფერი პარიზის მახლობლად მდებარე, შატენე-მალაბრის ლაბორატორიაში დაშვებული შეცდომის ბრალიაო, მაგრამ ფაქტია, რომ შარშანდელ ტურზე ტრიუმფის შემდეგ, დოპინგის გამო არსად უასპარეზია. მის საქმეს კი მოგვიანებით აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო განიხილავს. და თუ ამის ვერდიქტი დამაკმაყოფილებელი არ იქნება, მაშინ ლენდისის საქმეს საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო კომისია მიხედავს.

ეგ კიდევ არაფერი, ეს სეზონი ნამდვილი გარღვევაა დოპინგთან ბრძოლის საქმეში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ დოპინგის გამოყენება აღიარეს ჯიროს შარშანდელმა ჩემპიონმა, იტალიელმა **ივან ბასომ** და ტურის 1996 წლის ჩემპიონმა, დანიელმა **ბიარნე რიისმა**. რა თქმა უნდა, პირველს ამის გამო დისკვალიფიკაციის (ორწლიანი) მოხდა მოუწევს, მეორე კი ტურის ორგანიზატორებმა თავიანთ რბოლაზე პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს, რის გამოც დანიური გუნდი "სი ეს სი" რბოლას თავისი შეფის გარეშე ჩაატარებს. უფრო მეტიც, ტურის მესვეურებმა რიისს ჩემპიონის ყვითელი მაისურის დაბრუნება მოსთხოვეს.

ბასოს გარდა, ძლიერი ველომრბოლებიდან რბოლას დააკლდებიან სპორტიდან წასული და არაერთ დოპინგსკანდალში გახვეული გერმანელი **იან ულრიხი**, ჯიროს ახალი ჩემპიონი, იტალიელი **დანილო დი ლუკა** და ჯიროს ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **დამიანო კუნეგო**. ცნობისათვის, ძნელი ჯიროს შემდეგ, ბოლო ორმა ტურის გამოტოვება და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადება ინება.

პელოტონში ამდენი ძლიერი ველომრბოლი რომ არ იქნება, მთავარ ფავორიტად ბევრი ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვს** მიიჩნევს. "ასტანას" ლიდერმა შარშან, ვუელტას მოგებით დაამტკიცა, რომ ველომარათონების მოგება შეუძლია. შარშან მან ტურზე იმის გამო ვერ იასპარეზა, რომ ესპანეთში ატეხილ დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში იყო მოხსენიებული.

ვინოს ტურზე ურთულესი, ბრიანსონის სამთო ეტაპი აქვს მოგებული. ერთხელ კი მან ტურის დამაგვირგვინებელი ეტაპიც მოიგო. 2003 წელს მან რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა, 2005 წელს კი, როცა "ტე-მობილში" ულრიხის ასისტენტობა ევალა, მეხუთე ადგილს დასჯერდა. ამჯერად მას ეყოლება ძლიერი ასისტენტები გერმანელი **ანდრეას კლოდენის** (შარშან ტური მესამეზე დაასრულა), თანამემამულე **ანდრეი კაშეჩკინისა** (სამთო სპეციალისტია) და ჯიროს ყოფილი ჩემპიონის, იტალიელი **პაოლო სავოლდელის** სახით.

"რაც პროფესიონალი ველომრბოლი ვარ, ყველაფრის მოგება შევძელი, რაც კი მინდოდა. ახლა მხოლოდ ტურიღა მაქვს მოსაგები და ვიმედოვნებ, სპორტიდან ისე არ წავალ, რომ ჩემპიონის ყვითელი მაისურა ვერ მოვიგო. შესაძლოა, ეს ჩემი ოცნების ასასრულებლად ბოლო შანსია. ამიტომ, ამ სეზონში ყველაფერი ისე დავგეგმე, რომ ტურისთვის მაქსიმალურად მომზადებული ვყოფილიყავი", - ამბობს ვინოკუროვი.



მართალია, ვინო "ასტანას" ნომინალური პირველი ნომერია, მაგრამ მისი თქმით, თავიდან მას და კლოდენს თანაბარი პირობებ ექნებათ. მერე კი, ვისაც მოგების მეტი შანსი ექნება, მთელი გუნდიც მასზე იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის ტურზე კლოდენს მეორე ადგილი აქვს დაკავებული. ეს მაშინ, როცა "ტე-მობილის" პირველი ნომერი ულრიხი იყო.

მერაბ ლორთქიფანიძე

94-ე ტურ დე ფრანსის კალენდარი

პროლოგი, 7 ივლისი - ლონდონი (8 კმ)
1-ლი ეტაპი, 8 ივლისი - ლონდონიდან კანტერბერიმდე (გრიტ, 203 კმ)
მე-2 ეტაპი, 9 ივლისი - დიუნკერკიდან (საფ) გენტამდე (ბელგია, 168.5 კმ)
მე-3 ეტაპი, 10ივლისი - ვარეგემიდან (ბელგ) კომპიენამდე (საფ, 236.5 კმ)
მე-4 ეტაპი, 11 ივლისი - ვილერ კოტერედან ჟოინიამდე (193 კმ)
მე-5 ეტაპი, 12 ივლისი - შაბლიდან ოტუნამდე (182.5 კმ)
მე-6 ეტაპი, 13 ივლისი - სემურ ენ ოსიდან ბურჟ ენ ბრესამდე (199.5 კმ)
მე-7 ეტაპი, 14 ივლისი, - ბურჟ ენ ბრესიდან ლე გრან ბორნამდე (197.5 კმ)
მე-8 ეტაპი, 15 ივლისი - ლე გრან ბორნადან ტინიამდე (165 კმ)
დასვენების დღე - 16 ივლისი (ტინი)
მე-9 ეტაპი, 17 ივლისი - ვალ დ'იზერიდან ბრიანსონამდე (159.5 კმ)
მე-10 ეტაპი, 18 ივლისი - ტალარიდან მარსელამდე (229.5 კმ)
მე-11 ეტაპი, 19 ივლისი - მარსელიდან მონპელიემდე (182.5 კმ)
მე-12 ეტაპი, 20 ივლისი - მონპელიედან კასტრამდე (178.5 კმ)
მე-13 ეტაპი, 21 ივლისი - ალბის გარშემო (დროზე ინდ. რბოლა, 54 კმ)
მე-14 ეტაპი, 22 ივლისი - მასამეტიდან პლატო დე ბაილიმდე (197 კმ)
მე-15 ეტაპი, 23 ივლისი - ლუდენვილიდან ლურონამდე (196 კმ)
დასვენების დღე - 24 ივლისი (პო)
მე-16 ეტაპი, 25 ივლისი - ორტესიდან კოლ დუბაზისკამდე (218.5 კმ)
მე-17 ეტაპი, 26 ივლისი - პოდან კასტელსარასენამდე (188.5 კმ)
მე-18 ეტაპი, 27 ივლისი - კაჰორსიდან ანგულემამდე (211 კმ)
მე-19 ეტაპი, 28 ივლისი - კონიაკიდან ანგულემამდე (დრ.ინდ. რბოლა, 55.5 კმ)
მე-20 ეტაპი, 29 ივლისი - მარკოსიდან პარიზამდე (146 კმ)

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მაფულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ფათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგფუაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (დღლოგი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. ბარდა კვირისა

ჰილთბურთი

NBA. ფინიქს სანზი

ჰილის მოტივაცია: ნეში და ჩემპიონობა

არიზონაში კიდევ ერთი ვარსკვლავი იკაშკაშებს. მერე რა, რომ "ფინიქს სანზის" ახალწვეულს თავისი საუკეთესო წლები ზურგს უკან აქვს მოტოვებული. ნიჭს ვერც ასაკი გაახუნებს და ვერც ის, რომ ამ კაცს, ბოლო ნ წლის განმავლობაში მატჩების ნახევარზე მეტი პერმანენტული ტრავმიანობის გამო გაუცდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სანზმა" **გრანტ ჰილთან** გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება და ამჯერად Sprite-ის სახელთან ერთად ეცდება იმ რუბიკონის გადალახვას, რომელსაც ნანატრი ჩემპიონობის მოპოვება ჰქვია.

ტრეისი მაკგრეიდის არ იყოს, ჰილსაც არასოდეს მოუგია საფლეიოფო სერია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ტრადიცია მის ახალ გუნდში არ დაირღვევს - "ფინიქსი" ხომ ბოლო წლების ერთ-ერთი სტაბილური კლუბია, სადაც ჩემპიონობის გარდა, სხვა არაფრის გაგონებაც არ სურთ.

34 წლის ფორვარდი "ფინიქსში" მომდევნო ორ სეზონს დაჰყოფს და ამ დროში მხოლოდ 4 მილიონ დოლარს მიიღებს, თუმცა მისივე თქმით, ამ შემთხვევაში კონტრაქტის ფინანსური მხარე გადამწყვეტი არ ყოფილა. გრანტს ერთადერთი მოტივაცია აქვს და ეს ჩემპიონობის მოპოვებაა. ჰილის აგენტის, **ლონ ბეიბის** თქმით, პირველ სეზონში მისი კლიენტი 1.8 მილიონს, მეორეში კი 2.2 მილიონ დოლარს მიიღებს.

გრანტს ორი კვირის წინათ კარიერის გაგრძელება მხოლოდ "მეჯიქში" სურდა, ხოლო თუ ფლორიდელები მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ მოისურვებდნენ, ჰილი პროფესიულ კალათბურთს დაემშვიდობებოდა. ბოლო რეგულარულთან ერთად დასრულდა გრანტის 7-წლიანი ხელშეკრულება "ორლანდოსთან", რომელმაც მოთამაშეს 93 მილიონი, მის ყოფილ გუნდს კი სასოწარკვეთილება და იმედგაცრუება მოუტანა. ჰილმა მუხლის, ზურგისა და საზარდულის მძიმე ტრავმების გამო, შვიდი რეგულარულის განმავლობაში 574 მატჩიდან მხოლოდ მესამედში მიიღო მონაწილეობა და "მეჯიქმაც" მასთან თანამშრომლობის განახლება არ მოისურვა. ამის ნაცვლად, ფლორიდელებმა აქცენტი **რაშარდ ლიუისზე** გადაიტანეს და "სონიქსის" ყოფილ ვარსკვლავს (რომელიც ამპლუით ჰილის დარად, ასევე მსუბუქი ფორვარდია) გრძელვადიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

მერე და მერე კი გრანტს ორი ძლიერი მსურველი გამოუჩნდა. მისით დაინტერესდნენ მოქმედი ჩემპიონი "სან ანტონიო სპურსი" და "ფინიქსი", საბოლოოდ კი ბებერ ჰილთან ურთიერთობისას მეტი მარიფათი **მაიკ დენტონს** გუნდმა გამოაჩინა და წინასწარი კონტრაქტიც გაფორმდა. ცნობისთვის, "დეტროიტიდან" "ორლანდოში" გადასვლის მერე, გრანტ ჰილმა მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში.

თავის დროზე, ჰილთან ერთად "მეჯიქმა" მაკგრეიდიც აიყვანა, თუმცა 2004-ში ტრეისი "ჰიუსტონში" გაუშვეს, საპირისპირო მიმართულებით კი **სტივ ფრენსისი** წამოვიდა.

გრანტის ახალმა გუნდმა წინა რეგულარულში 61 მატჩი მოიგო და მხოლოდ "დალას მავერიქსს" ჩამორჩა, თუმცა ფლეი ოფში **სტივ ნეშის, ამარე სტაუდმაიერისა** და **შონ მერიონის** გუნდი ბრწყინვალე სერიაში მომავალ ჩემპიონ "სპურსთან" 2:4 დამარცხდა.

"სან ანტონიოში" თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა, მაგრამ სტივ ნეშის ფაქტორმა და იმანაც, რომ "სანზი" აქცენტს შეტევასა და სანახაობრივ კალათბურთზე აკეთებს, ჩემს ფავორიტად "ფინიქსი" აქცია", - განუცხადა ჰილმა ამერიკელ მასმედიელებს.



გრანტ ჰილი

თავის დროზე, ანუ 7 წლის წინათ, "ორლანდომ" "დეტროიტში" ჰილის ნაცვლად **ჩაკი ეტკინსი** და თვით **ბენ უოლასი** გაუშვა, თუმცა ჰილმა პირველივე სეზონის დაწყებამდე მძიმე ტრავმა მიიღო და იმ სეზონში მონაწილეობა მხოლოდ 4 შეხვედრაში მიიღო. შემდეგ სეზონში გრანტი ოდენ 14-ში, კიდევ ერთი წლის მერე კი 29 მატჩში გავიდა მოედანზე. მან მთლიანად გამოტოვა 2003-04 წლების რეგულარული.

ჰილი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. ის კარიერაში ერთ მატჩში საშუალოდ 20 ქულას, 7 მოხსნასა და 5 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

ზურაბ თალაკვაძე